პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
ხუთშაბათი
17 იანვარი
№ 13 (17658)
ფასი 2 კაპ.

წელი — ლენინური, შრომა — დამკვრელური

ლენინურ შრომითს ვასტეზე

ბატარა, ოცდახუთგვერდიან ბროშურაში ჩაქსოვილია მრავალი ათასი ადამიანის ნება და მისწრაფება, ჩანაფიქრი და სიმტკიცე. ბევრი ციფრობრივი გაანგარიშება, ეკონომიკური მაჩვენებელი, სოციალური განვითარების მონახაზია საქართველოს სსრ მშრომელთა 1980 წლის სოციალისტურ ვალდებულებებში, რომლებიც რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის ამასწინანდელმა კრებამ მიიღო. აქ ყოველი ციფრი ჩვენი სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგის განვითარების მარტოოდენ ახალი, წინათ მიუღწეველი ნიშანსვეტი როდია. ეს არის საქმისადმი, მუშაობისადმი დამოკიდებულების თვისებრივად ახალი დონე, კოლექტივებისა და ცალკეული მუშაკების მოქალაქეობრივი, საზოგადო, პროფესიული პასუხისმგებლობის სხვაგვარი, უფრო სერიოზული საწყაო. და 1980 წლის სოციალისტური ვალდებულებანი აჯამებს არა ჩვენი გარჯის უბრალო შედეგს, არამედ ახალ წელს სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის ტემპის დაჩქარების საფუძვლიანად გაანგარიებულ და გაანალიზებულ შესაძლებლობებს.

ამასწინათ გაზეთებში გამოქვეყნდა, ტელევიზიითა და რადიოთი გადაიცა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა რესპუბლიკის მუშების, კოლმეურნეების, სახალხო ინტელიგენციის, ყველა მშრომელისადმი. ეს გულახდილი, უადრესად საჭირო პარტიული დოკუმენტი, რომელსაც დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, მთელი თავისი შინაარსით, ყოველი სტრიქონით მიმართულია უშუალოდ იმათდამი, ვინც მატერიალურ დოვლათსა და ფასეულობებს ქმნის, ვინც მეცნიერებას, ტექნიკასა და კულტურას ავითარებს, სასტარტო მოედნებს აშენებს რესპუბლიკის ახალი აღმფრენისათვის, მის საელსა და დიდებას ამრავლებს.

მიმართვაში გაშუქებულია მეათე ხუთწლიდის დამამთავრებელი წლის — ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისა და სკკპ XXVI ყრილობისათვის აქტიური მზადების წლის ძირითადი ამოცანები, და ამასთანავე აღნიშნულია, რომ ეკონომიკური განვითარების მთელ სიძნელეებს მხოლოდ იმ პირობით დავძლევთ, თუ ყველგან გავაუმჯობესებთ შუამბის ხარისხს, დავამყარებთ სანმუშო წესრიგს ჩვენი მეურნეობის უკლებლივ ყველა უბანზე.

საამისო შესაძლებლობანი და რეზერვები ჩვენ გვაქვს.

... გადაიშალა ახალი კალენდრის კიდევ ერთი ფურცელი. 1979 წელი ქრონოლოგიურად უკვე ისტორიას ჩაბარდა. მაგრამ შრომითი 1979 წელი მაინც ჩვენ დაგვრჩა — დაგვრჩა რესპუბლიკის ეკონომიკური რუკის ახალ ადნიშვნებში, მეცნიერულ-ტექნიკური აზროვნების მიღწევებში, დაგვრჩა შემოქმედებითი აღმოჩენების სახარულში.

განვლილი წლის გაცილებისას მკაცრად შეიფასოს ნაღვაწი, მზრუნველად და წინადაედულად დაისახოს მომავლის გეგმა — ესეთია მშრომელი კაცის სახიკეთო ტრადიცია, რომელიც უკვე შინაგან მოთხოვნილებად გადაგვექცა. ასეა პირადი თვალსაზრისით, ასეა მთელი კოლექტივის თუ მთელი რესპუბლიკის მასშტაბით.

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის იანვრის კრებამ შეაჯამა ჩვენი მუშაობის შედეგები, ნათელყო წლის პროგრამის შესრულების მაჩვენებლები რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყველა პარამეტრის მიხედვით. მართლაც რომ ბრწყინვალე შედეგებია: სამრეწველო წარმოების მოცულობა წლის მანძილზე 7,2 პროცენტით გადიდდა; ხარისხხანშენიანი ნაწარმის რაოდენობა 1.616-დან 2.015-მდე გაიზარდა; შრომის ნაყოფიერების ზრდის გეზით მიღებულია მრეწველობის პროდუქციის მთელი მატების 82 პროცენტზე მეტი. მაგრამ ასევე, ეგივე სამუშაო ადგილებზე ნაყოფიერების ზრდის ახალი რეზერვებიც გამოიძებნა და თვისებრივადაც შეიცვალა მუშაობისადმი დამოკიდებულება, გაიზარდა დაინტერესება საქმისათვის პასუხისმგებლობა.

ანგარიშის კრებაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების სამამულო წარმოების მთელი ასეთრიანის მანძილზე პირველად დამზადდა 454 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 260 ათასი ტონა ციტრუსი და 577 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი. მიაქცევეთ ყურადღება — პირველად მთელი ისტორიის მანძილზე, მიუხედავად იმისა, რომ გასული წელი ამინდის პირობებით ფრიად რთული გამოდგა. რისი შედეგია ეს ციფრები? ენთუზიაზმისა? პროფესიული ოსტატობისა? შრომის ორგანიზაციისა? რა თქმა უნდა, ამის შედეგია. მაგრამ ვითომ მარტო ეს არის?

ყველა წარმატების თავიდათავი მუდამ არის ერთი, მაღალი ზნეობრივი საწყისი, რომელიც განისაზღვრება სიტყვებით — მუშა კაცის პატიოსნება და ღირსება.

განვლილმა შრომითმა წელმა კვლავ დაადასტურა ის ჭეშმარიტება, რომ კარგი, ხარისხოვანი მუშაობა არის არა მარტო ეკონომიკური, არამედ ეთიკური, მორალური კატეგორიაც; და მან ეს ჭეშმარიტება გადაიქცია მრავალი ადამიანის მრწამსად, რომელთა გაერთიანებული მეცადინეობა ქმნის ყოველგვარ მახობრივ, მათ შორის, შრომით პროცესს, კარგი მუშაობის საწინდარია პროფესიული პასუხისმგებლობის შერწყმა იმის შეგნებასთან, რომ შენს გაურჯელად შეუძლებელია საერთო პროგრესი.

ეკონომიკური და სოციალური საწყისები ურთიერთდაკავშირებული სდდიდეებია. მაშასადამე, მიღწევათა ანალიზი — ეს არის არა მარტო პროფესიული უყუგებისა და ტექნოლოგიური შეიარაღების დათვალიერება, არამედ, — და ეს მთავარია, მშრომელი მასების მოქალაქეობრივი და პოლიტიკური სიმწიფის ახალ შესაძლებლობათა განსაზღვრა. სწორედ ამიტომ არის მიმართვაში ხაზგასმული: „თქვენი შრომითი გამარჯვებები ყველაზე სრულად და მკაფიოდ გამოხატავს ჩვენი თანამედროვის, სოციალისტური სამშობლოს ჭეშმარიტი პატრიოტის საუკეთესო ნიშან-თვისებებს. და საქართველოს სს რესპუბლიკამ კომუნისტური მშენებლობის საქმეს სწორედ იმის მეოხებით შემატა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წვლილი, რომ ასე ირჯებოდით თქვენ, მშრომელი ადამიანები, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის დიდებისა და ავტორიტეტის განუხრელ ამაღლებაში ხედავთ საკუთარ და თქვენი შვილების ბედნიერებას“.

შეაჯამა რა შედეგები, აქტივის კრებამ მიიღო საქართველოს სსრ მშრომელთა 1980 წლის სოციალისტური ვალდებულებანი. ახალი წელი — დამკვრელური, ლენინური მუშაობის წელი, დაძაბული და რთული გვიქნება. და, მაშასადამე, კიდევ უფრო მეტად უნდა ამაღლდეს თითოეული მუშაკის მოქალაქეობრივი და პოლიტიკური, პროფესიული პასუხისმგებლობის დონე, ოორემ სხვაგვარად ვერ გადავწყვეტთ ურთულეს ამოცანას — ვერ მივაღწევთ სამრეწველო წარმოების მატების მიმდინარე წლისათვის გათვალისწინებულ — მთელი მეათე ხუთწლიდის მანძილზე ყველაზე სწრაფ ტემპს — 8,4 პროცენტს, წინა ოთხი წლის 6,8 პროცენტი საშუალო წლიური ზრდის ტემპის ნაცვლად. მხოლოდ ამ პირობით შევასრულებთ მეათე ხუთწლიდის ვალდებულებებს და გავზრდით მრეწველობის პროდუქციის მოცულობას ხუთწლიულის შედეგების მიხედვით 41 პროცენტით.

ეკონომიკაში გაუთვითცნობიერ ე ბ ე ლ ი ადამიანისათვისაც კი ნათელია, რომ ამ მაჩვენებელს ვერ მივაღწევთ მარტოოდენ ენერგიისა და გარჯის შედეგად. ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებისათვის ბრძოლაში, — იგი კი 150 მილიონი მანეთისა უნდა ვაწარმოოთ, — საჭიროა გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება — მრეწველობაში ზრდამ 1979 წელთან შედარებით უნდა შეადგინოს 6,6 პროცენტი გეგმით გათვალისწინებული 6,1 პროცენტის ნაცვლად, — ამასთანავე უნდა სრულვყოთ სამეურნეო მექანიზმი და გავაუმჯობესოთ დაგეგმვა, განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა. ეს უკანასკნელი კი ფრიად საჭიროა. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას უდიდესი ზარალი მოსდის კადრების დენადობისა და სამუშაო დროის დანაკარგების გამო. შევამციროთ, ვალდებულებათა შესაბამისად, ეს დანაკარგები, — ნიშნავს გავაძლიეროთ ბრძოლა შრომის უნიერო ორგანიზაციის, არაორგანული მომარაგების, უნიათობისა და დაუდევრობის წინააღმდეგ. ცხადზე უცხადესია, რომ ყოველივე ეს მოითხოვს არა მარტო კონკრეტულ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებებს, არამედ აგრეთვე თითოეული მუშაკის შეგნების უფრო მაღალ დონეს. დღეს პიროვნებამ განსაკუთრებით უნდა შეიგნოს, რომ მას ძალუძს გავლენა მოახდინოს კოლექტივის საქმეთა მდგომარეობაზე. ამ აზრით არის მთლიანად გამსჭვალული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა რესპუბლიკის მშრომელებისადმი. კითხულობ ამ მომართვას და გრძნობ, რომ ეს არის გულახდილი, წრფელი პარტიული სჯა-ბაასი თითოეულ მოქალაქესთან და მშრომელთან. ყველას ეხება კითხვები: კონკრეტულად რის გაკეთება შეგიძლიათ პირადად თქვენ მატერიალური რესურსების დაზოგვისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მისი თვითღირებულების შემცირებისათვის? ეს კითხვები მიმართულია ყველა სოციალური ჯგუფისა და კატეგორიის წარმომადგენლების, ყველა დარგის — ტრანსპორტის, მშენებლობისა თუ სოფლის მეურნეობის მუშაკებისადმი, საქმიანობის ყველა სფეროს, მათ შორის, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის წარმომადგენლებისადმი. ეს ძნელი კითხვებია, და ისინი მოითხოვენ არსებითს შინაგან გარდაქმნას, აზროვნების სტერეოტიპების, უძრაობისა და ყავლგასული მეთოდების უკუგდებას, მაგრამ ამ კითხვებს უნდა ვუპასუხოთ, თანაც ვუპასუხოთ საქმით, მოვახმაროთ პიროვნებისა და კოლექტივის მთელი რეზერვები მიზნის მიღწევას. არადა, მიზანი მართლაც მშვენიერი გვაქვს: წარმატებით დავამთავროთ ხუთწლედის უკანასკნელი წელი, მოვკაპოვებინოთ რესპუბლიკას კიდევ ერთი შესანიშნავი გამარჯვება.

ეს წელი ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის აღსანიშნავად ფართოდ გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების ნიშნით დაიწყო. ბევრმა მოწინავე მშრომელმა იკისრა ვალდებულება ამ თარიღისათვის შეასრულოს პირადი ხუთწლედები. და ისინი, როგორც ადგილებიდან მოსული ცნობები მოწმობს, წლის პირველი დღეებიდანვე მტკიცედ და შეუპოვრად ირჯებიან დასახული მიზნის მისაღწევად. მხარი დაუჭირონ ამ მაღალ შემართებას, დარაზმონ ყველა კოლექტივი პასუხსაგები მიჯნების მისაღწევად, სიძნელეთა და ნაკლოვანებათა დასაძლევად — ეს პარტიული ორგანიზაციების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებების, ყველა სამეურნეო ხელმძღვანელის ვალია.

ამასვე მოგვიწოდებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილება „სახალხო მეურნეობაში შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისა და კადრების დენადობის შემცირების შესახებ“. თანამედროვე პირობებში, როცა ასე იზრდება წარმოების მასშტაბი, ნათქვამია დადგენილებაში, რთულდება სამეურნეო ურთიერთობა, ჩქარდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ყოველ საათს, სამუშაო დროის ყოველ წუთს, შრომითი შინაგანაწესის წესების განუხრელ დაცვას, სტაბილური კადრების შექმნას წარმოების ყოველ უბანზე.

განსაკუთრებული მნიშვნელობის მოთხოვნებს უყენებს ყოველივე ეს უწინარეს ყოვლისა პარტიულ ორგანიზაციებს, თითოეულ კომუნისტს. საჭიროა მშრომელთა მეცადინეობა წარვმართოთ რეზერვების გამოსავლენად, რომლებიც საკმაოდ გვაქვს. ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ეს რეზერვები დროულად მოხმარდეს წარმოებას, ყოველი ღონისძიებით დავნერგოთ ახალი ტექნიკა, სრულვყოთ ტექნოლოგია.

რესპუბლიკაში ბევრია ისეთი საწარმო და მშენებლობა, რომელთა გამოცდილება საყოველთაო კეთილნებას უნდა გახდეს. მაგალითად, რუსთავის ლითონკონსტრუქციათა ქარხანაში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების მეოხებით, მუშათა რიცხვის გაუდიდებლად, წარმოების მოცულობა 17,5 პროცენტით გაიზარდა, შესაბამისად იმატა შრომის ნაყოფიერებამაც.

დასახულ ღონისძიებათა განსახორციელებლად გვმართებს უკეთ ვიმუშაოთ კადრებთან, უფრო ფართოდ გავიჩაღოთ აქტიური მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა გეგმებისა და ვალდებულებების შესრულების იდეოლოგიური უზრუნველყოფისათვის, შევაგენებინოთ ყოველ მშრომელს მიმდინარე წლის, მთელი ხუთწლედის ამოცანების დიდაარსი და პოლიტიკური მნიშვნელობა.

რესპუბლიკის თითოეულ მშრომელს ღრმად უნდა ჩასწვდეს გულში, გონებასა და შეგნებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვის ეს სიტყვები: „1980 წლის გეგმებისა და მაღალი ვალდებულებანი ვალდებულების შესრულებისათვის ბრძოლაში ჩვენ უნდა ჩავბაროთ კიდევ ერთი გამოცდა—იდეური და პოლიტიკური სიმწიფის გამოცდა. ვითარება მოითხოვს, რომ თითოეული მუშა, ყოველი კოლმეურნე, ინტელიგენციის თითოეული წარმომადგენელი, ყოველი მოქალაქე გახდეს პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის შეგნებული მებრძოლი, სრულად გამოიჩინოს მთელი თავისი უნარი, თაოსნობა, ჩაეკოდოს სული და გული ამ საერთო-სახალხო საქმეს.

საქართველოს მშრომელებს, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ხალხს, რომლებიც ერთსულოვნად უჭერენ მხარს და იწონებენ კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მრავალმხრივ, მიზანდასახულ მოღვაწეობას, გადაწყვეტილი აქვთ ერთხელ კიდევ დაამტკიცონ, რომ მათი სიტყვა და საქმე ერთია. ამის საწინდარია მათი ერთგულება სამშობლოსადმი, პარტიისადმი, საბჭოთა ხალხის სახელოვანი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებისადმი“.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲔᲚᲗᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ. დ. გედენიძე). ივ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის ავტოქარხნის რაიონის ორი საწარმოს კოლექტივმა, რვა უბანმა, თექვსმეტმა ცვლამ, 56 ბრიგადამ და 1.227 მუშამ იკისრეს 22 აპრილისათვის შეასრულონ ხუთწლედის დავალებანი.

ასეთი გადიდებული ვალდებულებები ეყრდნობა იმ საწარმოო რეზერვებს, რომლებიც შარშან გამოავლინეს. რაიონის საწარმოთა შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდშია პორკომბინატის კოლექტივი. შარშან აქ წარმოების მოცულობის ზრდის ტემპმა თითქმის სამი პროცენტით გაუსწრო დაგეგმილს. ასევე დამკვრელურად დაიწყეს ხუთწლედის დამამთავრებელი წელი ამ საწარმოს მუშებმა და მოსამსახურეებმა. მათი გადაწყვეტილებაა ხუთწლიანი გეგმა 22 აპრილისათვის შეასრულონ.

ᲕᲘᲛᲣᲨᲠᲝᲛᲔᲑᲗ, ᲨᲔᲕᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲗ!

ᲐᲑᲐᲨᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ 1980 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ

ᲐᲑᲐᲨᲘᲡ რაიონის მშრომელები, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს 1979 წლის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებები, ახალი ძალით აჩაღებენ ბრძოლას სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მიზანდასახულობათა განხორციელებისათვის და კისრულობენ შემდეგ სოციალისტურ ვალდებულებებს:

სოფლის მეურნეობაში: სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის განვითარების, წარმოების ინტენსიფიკაციისა და კულტურის შემდგომი ამაღლების, მშრომელთა მორალური და მატერიალური სტიმულირების გაუმჯობესების, მატერიალური და შრომითი რესურსების გონივრული გამოყენების, არსებული რეზერვების მაქსიმალური ამოქმედების გზით რაიონის სოფლის მეურნეობა შემდგომი ინტენსიური გზით განვითარდება. რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ჰექტარობრივი მოსავლიანობა გადიდდება: სიმინდისა — 50 ცენტნერამდე, ბოსტნეულისა — 120 ცენტნერამდე, სოიისა — 10 ცენტნერამდე. სიმინდის მარცვალს 18.500 ტონის ნაცვლად აწარმოებენ 21.000 ტონას; ბოსტნეულს — 7.000 ტონას, წინა წელთან შედარებით 1.400 ტონით და გეგმასთან შედარებით 1.700 ტონით მეტს; ჩაის ფოთოლს — 520 ტონის ნაცვლად — 1.200 ტონას, სახელმწიფოს მიეყიდება საგეგმოზე 1.000 ტონით მეტი მარცვალი, ბოსტნეული — 7.200 ტონა 6.000 ტონის ნაცვლად.

1980 წელს რაიონში საშუალო წველადობა ნაცვლად 1.900 კილოგრამისა ერთ ძროხაზე გაიზრდება 2.100 კილოგრამამდე, 100 ძროხაზე მიღებული იქნება 85 ნამატი — 1979 წელს მიღწეულზე 5 სულით მეტი.

სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი პირუტყვის საშუალო წონა 1979 წელთან შედარებით გაიზრდება 20 კილოგრამით და მიაღწევს 280 კილოგრამს. აწარმოებენ: ხორცს 1.700 ტონას — საგეგმოზე 250 ტონით მეტს, რძის წარმოება მიაღწევს 3.900 ტონას — გეგმაზე 100 ტონით მეტს. სახელმწიფოს მიეყიდება: ხორცი — 2.500 ტონა — გეგმაზე 300 ტონით მეტი, რძის მიყიდვის გეგმა შესრულდება 105 პროცენტით და მიაღწევს 3.000 ტონას.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მეცხოველეობის მტაცეცე საკვები ბაზის შექმნის საქმეს. აწარმოებენ 60.000 ტონა სილოსს, ნაცვლად 28.000 ტონისა, — 3.500 ტონა თივას.

მრეწველობა და ტრანსპორტი: მრეწველობაში 1980 წელს გეგმა შესრულდება 25 დეკემბრისათვის. გამოშვებული იქნება 15.900 ათასი მანეთის პროდუქცია, საგეგმო 15.808 ათასი მანეთის ნაცვლად. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება პროდუქციის ხარისხი. შრომის ნაყოფიერება 1979 წელთან შედარებით გაიზრდება 3 პროცენტით.

ტრანსპორტის მუშაკები 1980 წლის დაგალებებს შეასრულებენ 25 დეკემბრისათვის. გეგმის გადამეტებით გადაზიდავენ 4 ათას ტონა ტვირთს და გადაიყვანენ 50 ათას მგზავრს. გაუმჯობესდება ტექნიკური და საექსპლოატაციო მაჩვენებლები.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურეობაში 1980 წლის გეგმები შესრულდება 20 დეკემბრისათვის. მოსახურების მოცულობა 881 ათასი მანეთიდან გაიზრდება 283 ათას მანეთამდე.

სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებული რაიონის მშრომელები წარმატებით შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს. ახალი თაოსნობითა და ინიციატივებით აღნიშნავენ რევოლუციის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს.

ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲑᲐᲨᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ.

ᲓᲦᲔ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐ, ᲝᲡᲔᲗᲝ ᲩᲔᲛᲝ!

ᲒᲐᲓᲐᲕᲮᲔᲓᲝᲗ ᲒᲐᲜᲕᲚᲘᲚ ᲬᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ ᲠᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲐ ᲪᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲛᲐ ᲝᲚᲥᲛᲐ — ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲐᲛᲓᲔ (ᲘᲮᲘᲚᲔᲗ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ).

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲔᲑᲖᲔ: ქალთა ცეკვა. ასრულებს სახელმწიფო ანსამბლი „სიმდი“; ხ. ცინცაძის პლაკატი.

საბჭოების არჩევნებისათვის მზადება პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს. პარტიული ორგანიზაციები, პარტიული კომიტეტები მთელ რიგ პარტიულ-ორგანიზატორულ ღონისძიებებს მიმართავენ, რომ ეს მნიშვნელოვანი, სახელმწიფოებრივი კამპანია ჩატარდეს როგორც სახალხო დღესასწაული, საბჭოთა დემოკრატიზმის ახალი აღმავლობის გამოვლინება.

სიამაყის გრძნობას გვგვრის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები — „საქართველო რომ აყვავებული სოციალისტური რესპუბლიკად გადაიქცა, ეს ქართველი მუშების, გლეხების, ინტელიგენციის დამსახურებაა, აფხაზების, ოსების დამსახურებაა, ყველა ეროვნების მშრომელთა დამსახურებაა, რომლებიც თქვენს რესპუბლიკაში ცხოვრობენ და შრომობენ“.

ქართველებისა და ოსების ძმობასა და მეგობრობას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. ეს ძმობა საბჭოთის ძმურ ოჯახში ახალ საფეხურზე ავიდა. საბჭოთა საქართველოს კომპარტია და მთავრობა განუხრეტლად ზრუნავენ სამხრეთ ოსეთის ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობისათვის. ამის დასტურია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 25 იანვრის დადგენილება, რომლის შესრულებისათვის ბრძოლა დაწყებულია და მაღალი ტემპითაც მიმდინარეობს. არჩევნების შემდგომი პერიოდი სწორედ ამ დადგენილების ფრთა-შესხმის პერიოდი იქნება.

ამჟამად წარმოების ყველა უბანზე დიდი შრომის ექო ისმის. ყველა კომუნისტი, თითოეული მოქალაქე ახალ შრომითს საჩუქრებს უმზადებს არჩევნების დღეს. დარჩენილი დღეები დამკვრელურად გამოაცხადეს ოლქის საწარმოთა კოლექტივებმა. შრომის ეს ენთუზიაზმი 1980 წელს მეათე ხუთწლედის გასულმა ოთხმა წელმა გადმოსცა. ოთხი წლის მანძილზე სამრეწველო პროდუქციის წარმოების საერთო მოცულობა 25 პროცენტით გაიზარდა. ამ პერიოდში რეალიზებულია იქნას მილიონ მანეთზე მეტი ზეგეგმითი სასაქონლო პროდუქცია. არჩევნებიდან-არჩევნებამდე მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

კარგი წარმატებებია მოპოვებული კაპიტალურ მშენებლობაში.

გასული არჩევნებიდან მოყოლებული პარტიის საოლქო კომიტეტი პარტიული აქტივის ყურადღებას ამახვილებდა ჩვენი ეკონომიკის განვითარების მთავარ მიმართულებებზე. სამრეწველო წარმოების დარგში ეს იყო მეათე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული მრეწველობის განვითარების ტემპებიდან ჩამორჩენის ლიკვიდაცია, შრომის ნაყოფიერების ყოველმხრივ გადიდება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, წარმოების დანახარჯების შემცირება, მუშაკთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლა.

სოფლის მეურნეობის დარგში ეს იყო ძალღონის მაქსიმალური დაძაბვა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის სერიოზული ჩამორჩენის დაძლევისათვის, რომელიც მოხდა წინა წლებში მეცნიერებისა და მოწინავე აგროტექნიკის უგულებელყოფის, შრომის დისციპლინის დაქვეითების შედეგად. ეს იყო უკონტროლობის ატმოსფეროს დაძლევა მიწათსარგებლობის საკითხებში, გამფლანგველების, მაქინატორებისა და თვალისმბეჭედებისათვის ყველა გზის საიმედოდ დახშობა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მეცნიერულ საფუძველზე გაძღოლის საწყისების თანდათან დანერგვა, სპეციალიზაციის, კონცენტრაციის, კოოპერაციის საფუძველზე ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდება, სოფლის მეურნეობის ინდუსტრიულ მეთოდებზე გადასვლისათვის სათანადო საფუძვლის მომზადება...

ზნეობრივი, საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში ეს იყო გადამწყვეტი, უკომპრომისო ბრძოლა ყველა სახის ანტიპოდურ მოვლენასთან. ახლა რწმენაჩამდგარი ხალხი ახალი ენთუზიაზმით შრომობს თავისი კუთხის აყვავებისა და წინსვლისათვის.

ახლა ჩვენ სიამაყით ვაცხადებთ, რომ ოლქში ბოლო სამ წელიწადში არა გვყავს არცერთი ჩამორჩენილი საწარმო. ეს არის იმ დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შედეგი, რომელსაც პარტიული კომიტეტები ეწევიან საწარმოო კოლექტივების დასარაზმავად.

ოლქის კომუნისტები ბოლო წლებში სათავეში ჩაუდგნენ წარმოების ხელ-ახალი ტექნიკური შეიარაღების ხანგრძლივი გეგმის შედგენის საქმეს. ეს გეგმა მეცნიერულად იქნება დასაბუთებული, მეათე ხუთწლედის ბოლო ოთხ წელიწადში ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის, მოწყობილობის მოდერნიზაციის დარგში, მაგალითად; ცხინვალის ელექტროვიბრაციული და მომინანქრებული საღებების ქარხნებში, ვალისის ტყვია-თუთიისა და სპილენძის წნელისის მაღაროებში, ცხინვალის ხე-ტყის კომბინატში, სამკერვალო ფაბრიკაში....

მაგრამ არსებული მდგომარეობის რეალური შეფასება მაინც ერთ აზრს გვეკარნახებს. ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი იმისათვის, რომ მივაღწიოთ საბოლოო მიზანს — ცხინვალში დამზადებული პროდუქცია საუკეთესო იყოს მთელს კავშირში, მსოფლიოში. ამ მხრივ დიდი შრომა მოუწევთ პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, სამეურნეო ხელმძღვანელებს, სახალხო კონტროლის ორგანოებს.

ოლქის სოფლის მეურნეობის ახალი სიმაღლეების აღება დაძაბულ მუშაობასა და პარტიულ-ორგანიზატორულ საქმიანობის კიდევ უფრო სრულყოფას მოითხოვს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებები, ამ პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა ჩვენი მუშაობის კომპასია მეათე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს.

ყოველი კომუნისტისაგან — შესაძლებლობის მაქსიმუმი, ყველა კომუნისტს — განუხრელი პარტიული ზრუნვა! — ეი ახლა ჩვენი მუშაობის ქვაკუთხედი.

საქართველოს სსრ უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე შეხვედრა შრომის ახალ სტიმულს მისცემს მშრომელთა საქმიანობას. წინასაარჩევნო დღეებში სამხრეთ ოსეთის მთა-ბარში ახალი ძალით ისმის ორი ათასამდე აგიტატორისა და პოლიტინფორმატორის დამრაზმველი სიტყვა. ეს საქმეში ეხმარება მშრომელებს, რაზმავს იმ დიდი ამოცანების შესასრულებლად, სამხრეთ ოსეთის წინაშე რომ დგას მეათე ხუთწლედში.

Ფ. ᲡᲐᲜᲐᲙᲝᲔᲕᲘ,
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ.

ᲕᲘᲛᲣᲨᲠᲝᲛᲔᲑᲗ, ᲨᲔᲕᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲗ!

ᲐᲑᲐᲨᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ 1980 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ

**ᲐᲑᲐᲨᲘᲡ რაიონის მშრომელები, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს 1979 წლის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებები, ახალი ძალით აჩაღებენ ბრძოლას სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მიზანდასახულობათა განხორციელებისათვის და კისრულობენ შემდეგ სოციალისტურ

„ლენინიზმი ჩვენი გამარჯვების საბრძოლო დროშაა“

ამ თემაზე გაიმართა პირველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვა თბილისის ლენინის რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივისათვის. იგი მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს.

მოხსენება წაიკითხა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გ. ბანძელაძემ. შარქსისა და ენგელსის მტკიცე მიმდევარმა ვ. ი. ლენინმა ყოველმხრივ განავითარა მათი რევოლუციური მოძღვრება, აღნიშნა მომხსენებელმა. მან მეცნიერული განჭვრეტის უბადლო ნიჭის, მიმდინარე მოვლენებისა და ამბების დედაარსში ულრმესი წვდომის მეოხებით ახალი ეტაპი დასახა მარქსიზმის განვითარებაში. ლენინის თეორიული შემოქმედების გვირგვინი გახდა მის მიერ შექმნილი მეცნიერება სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის გზების შესახებ.

საბჭოთა ხალხმა, რომელიც ლენინის მიერ ნაჩვენები გზით მიდის, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჯაშენ განვითარებული სოციალიზმის საზოგადოება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის შესახებ“ აღნიშნულია დიდი ბელადის იდეებისადმი ერთგულება. ღრმა მარქსისტულ-ლენინური ანალიზის საფუძველზე პარტიამ შეიმუშავა თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკური სტრატეგია, რომლის უზენესი მიზანია ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლება.

კომუნისტური პარტიისა და ჩვენი სახელმწიფოს დამაარსებლის მოახლეობულ იუბილეს, ხაზი გაუსვა დასასრულ მომხსენებელმა, საბჭოთა ადამიანები აღნიშნავენ როგორც დიდ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს.

(საქინფორმი).

ნდობა და დაფასება

მიმდინარეობს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

თბილისი. ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 67 ვაჟაფშაველას საარჩევნო ოლქში თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას“ მოწინავე მუშა **ნინა ტერენტის ასული შულლიაშვილი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ამ გაერთიანების კოლექტივის საარჩევნო კრებაზე.

თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა თავიანთ საარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის საქარხნო რაიონის № 88 ჰიდროშენებელთა საარჩევნო ოლქში დაასახელეს ქარხნის დირექტორი **პანტიკო შალვას ძე თორდია.**

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი **რევაზ ვლადიმერის ძე ბასარია** დაასახელეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის კიროვის რაიონის № 48 პუშკინის საარჩევნო ოლქში თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ნადიკრის“ კოლექტივის საერთო კრებაზე.

აკადემიკოს გ. მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის ინსტიტუტში გამართულმა საერთო კრებამ ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 64 პავლოვის საარჩევნო ოლქში უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მედიცინის პრობლემათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი **ვაჟა მიხეილის ძე ოკუჯავა.**

თბილისის № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა თავიანთ საარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის 26 კომისრის რაიონის № 74 საარჩევნო ოლქში დაასახელეს ამ საწარმოს მუშა **ანგელინა შალვას ასული მელქაძე.**

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა საარჩევნო კრებაზე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის № 115 ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქში დაასახელეს საქართველოს კომპარტიის ქ. თბილისის პირველი მაისის რაიკომის პირველი მდივანი **ზაურ შოთა ძე მესხიშვილი.**

„საქმაბტმშენის“ № 7 ტრესტში გამართული საარჩევნო კრების მონაწილეებმა ქალაქ თბილისის კალინინის რაიონის № 44 მელიქიშვილის საარჩევნო ოლქში რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მედიცინის პრობლემათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი **ვაჟა მიხეილის ძე ოკუჯავა.**

თბილისი. ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 67 ვაჟაფშაველას საარჩევნო ოლქში თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას“ მოწინავე მუშა **ნინა ტერენტის ასული შულლიაშვილი** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს ამ საარჩევნო ოლქში.

ხელვაჩაური. სოფელ კირნათის კოლმეურნეობის მშრომელებმა თავიანთ საარჩევნო კრებაზე ხელვაჩაურის რაიონის № 423 აჭარისწყლის საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად **მერი რევაზის ასული კახაბერიძე.**

მარნეული. სოფელ სადახლოს საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივის საარჩევნო კრებამ გადაწყვიტა მარნეულის რაიონის № 174 სადახლოს საარჩევნო ოლქში რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელებინა საქართველოს სსრ სამხედრო კომისარი **ლევან ლევანის ძე შარაშენიძე.**

ზესტაფონი. სოფელ ილემის ი. ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის საერთო კრების მონაწილეებმა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის. კანდიდატად ზესტაფონის რაიონის № 239 ძირულის საარჩევნო ოლქში დაასახელეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაქი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგე **ოთარ მიხეილის ძე ივანაშვილი.**

მცხეთა. ნატახტრის საცდელ-საჰვენებელი საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და მოსამსახურეებმა თავიანთ საარჩევნო კრებაზე დაადგინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მცხეთის რაიონის № 101 წოლიანის საარჩევნო ოლქში დაასახელონ საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მუშა **მერი გიორგის ასული ოქროპირიძე.**

ჭიათურა. სოფელ ნიგოზეთის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივის საარჩევნო კრებამ გადაწყვიტა მარნეულის რაიონის № 174 სადახლოს საარჩევნო ოლქში რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაესახელებინა საქართველოს სსრ სამხედრო კომისარი **ლევან ლევანის ძე შარაშენიძე.**

ზესტაფონი. სოფელ ილემის ი. ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის საერთო კრების მონაწილეებმა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის. კანდიდატად ზესტაფონის რაიონის № 239 ძირულის საარჩევნო ოლქში დაასახელეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაქი და კვების მრეწველობის განყოფილების გამგე **ოთარ მიხეილის ძე ივანაშვილი.**

მცხეთა. ნატახტრის საცდელ-საჰვენებელი საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და მოსამსახურეებმა თავიანთ საარჩევნო კრებაზე დაადგინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მცხეთის რაიონის № 101 წოლიანის საარჩევნო ოლქში დაასახელონ საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მუშა **მერი გიორგის ასული ოქროპირიძე.**

ჭიათურა. სოფელ ნიგოზეთის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივის საარჩევნო კრებამ გადაწყვიტა მარნეულის რაიონის № 174 სადახლოს საარჩევნო ოლქში რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ ჭიათურის № 244 საარჩევნო ოლქში დაასახელა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი პოეტი **ჯანსუღ ავდიდის ძე ჩარკვიანი.**

ლაგოდეხი. სოფელ ცოდნისკარის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებმა ლაგოდეხის რაიონის № 214 ვარდისუბნის საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს მოწინავე **ელენე იოსების ასული გორგაძე.**

გარდაბანი. თელეთის ექსპერიმენტულ მეურნეობა-ტექნიკუმში გამართული საარჩევნო კრების მონაწილეებმა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გარდაბნის რაიონის № 92 კოჯრის საარჩევნო ოლქში დაასახელეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარე **შალვა ვახტანგის ძე ყარყარაშვილი.**

წალკა. ედიჩილისის მრეწველობა-მექანიკოფიცინების საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებმა თავიანთ საარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წალკის რაიონის № 157 ედიჩილისის საარჩევნო ოლქში დაასახელეს ჯინისის ექსპერიმენტული მეურნეობის მუშა **ხვიტლანა ხაჩატურის ასული ენოქიანი.**

ახალციხე. საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი **ვივი შოთა ძე ორჯონიკიძე** რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს ახალციხის რაიონის № 135 ვალეს საარჩევნო ოლქში საწარმოო გაერთიანება „საქნაბრირის“ ახალციხის № 1 შახტის კოლექტივის საარჩევნო კრებაზე. (საქინფორმი).

საერთაშორისო ცხოვრება

დედამიწის ზურგზე

მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის პასუხი გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვებზე საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. განმარტავენ რა ლ. ი. ბრეჟნევის გამონათქვამებს, საზღვარგარეთის თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწენი და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ სსრ კავშირი, რომელიც საკადრის პასუხს აძლევს იმპერიალისტური ძალების ხრიკებს, კვლავაც განახორციელებს მშვიდობის, დაძაბულობის შენელების პოლიტიკას.

ლ. ი. ბრეჟნევმა, განუცხადა საკდესის კორესპონდენტს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ფედერაციის პრეზიდენტმა **რომეშ ჩანდრამ,** კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სსრ კავშირს, მრავალმილიონიან საბჭოთა ხალხს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, იმპერიალიზმის ხრიკების მიუხედავად, კვლავაც გაატარონ მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა. რ. ჩანდრამ თქვა, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდებით ბევრ ქვეყანაში გაიმართა მასობრივი დემონსტრაციები, მიტინგები, გაჩაღდა ნამდვილი ფართო საპროტესტო მოძრაობა ვაშინგტონისა და პეკინის საშიში გეგმების წინააღმდეგ.

საბჭოთა პრეზიდენტმა, აღნიშნავს ამერიკული გაზეთი „ვაშინგტონ სტარი“, განაცხადა, ისეთი მთაბეჭდილება იქმნება, რომ შეერთებული შტატები სახელმწიფოთა ურთიერთობაში ყოვლად არასაიმედო პარტნიორია; ეს არის სახელმწიფო, რომლის ხელმძღვანელობას შეუძლია რაიმე ახირების, ჭირვეულობის ან ემოციური წამონების გამო, ანდა ვიწროდ გაგებული წუთიერი სარგებლობის მოსაზრებით ნებისმიერ მომენტში დაარღვიოს თავისი საერთაშორისო ვალდებულებანი.

საინფორმაციო ბიულეტენის „იუროპოლიტიკის“ აზრით, დასავლეთ ევროპაში სკეპტიკურად უყურებენ ვაშინგტონის ახლანდელ პოლიტიკას, რომელიც აფრთავებს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობებს. ევროპის ეკონომიკური გაერთიანება, წერს ბიულეტენი, უარს ამბობს დაემორჩილოს ვაშინგტონის დიქტატს, რომელიც „ცხრეულისაგან“ მოითხოვს შეწყვიტონ თავიანთი ტრადიციული საქონლის, კერძოდ, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტი ისეთი დიდმნიშვნელოვანი კლიენტისათვის, როგორიც არის საბჭოთა კავშირი. თანამეგობრობის წევრ პარტნიორებს შორის ძლიერდება აზრი, რომ ამ საშიშ კურსს არამც და არამც არ უნდა მისდიონ არც პოლიტიკური და არც ეკონომიკური მოტივებით. განა საჭირო უნდა იყოს იმის თქმა, თუ რაოდენ დიდ ინტერესს იჩენს „ცხრეული“ სოციალისტურ ქვეყნებთან ახალ შეთანხმებათა დადებისადმი? დასძენს ბიულეტენი.

საბჭოთა ხელმძღვანელმა, წერს გაზეთიანი ფრანგული გაზეთი **„მონდი“,** მკაფიოდ განსაზღვრა საბჭოთა კავშირის პოზიცია მთელ რიგ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებში.

სახელოვანი წლისთავი

ოდეს, 17 იანვარს სრულდება ჰიტლერელი დამპყრობლებისაგან ვარშავის განთავისუფლების 35-ე წლისთავი. ამ სუროათებზე ხედავთ ნაცარტუტდან აღმდგარ პოლონეთის დედაქალაქს, რომელიც სახელოვან წლისთავს მთელი თავისი მშვენიერებით ხვდება — იმ საშინელი ქარ-ცეცხლის ნასახიც აღარ დარჩენილა, რომელმაც მას ომის წლებში გადაუარა. ვარშავის ცენტრში უამრავი მაღაზია, ატელიე, მოდების სახლი, დიდი თუ პატარა კაფეა. აქ ყოველთვის სიცოცხლით სავსე ხმაურია, მუდამ მრავალი სტუმარი და მახპინძელი ტრიალებს.

ვ. მასტიუკოვის ფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).

„ კომუნისტის“ მიმოხილვა

გაზეთ „ახალი წლის პირველ ორ კვირაზე მეტი. კაცობრიობა თავისი განვითარების ახალ ათწლეულში შევიდა. 1980 წლის პირველივე დღეები საერთაშორისო ცხოვრებაში აღინიშნა მოვლენებით, რომლებმაც შეიძლება დიდხანს დაარნიოს კვალი ჩვენი პლანეტის საერთო კლიმატს. სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით, რომ ამ მოვლენათა უმრავლესობა, პოზიტიური ხასიათისა იყოს და ხელს უწყობდეს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებასა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას.

დავიწყოთ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობით, რადგან წლების მანძილზე სწორედ ამ ქვეყნების ურთიერთობის ხასიათი იქცა საერთაშორისო კლიმატის თავისებურ უტყუარ barometrად.

უკანასკნელ პერიოდში კვლავ დაიძაბა ურთიერთობა მსოფლიოს ამ ორ უდიდეს სახელმწიფოს შორის. ზოგიერთმა მიმომხილველმა პრეზიდენტ კარტერის 4 იანვრის სიტყვა დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერის ჩერჩილის ფულტონის გამოსვლასაც კი შეადარა.

ამ დღეებში, როგორც მოსალოდნელი იყო, მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის პასუხი გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტის შეკითხვებზე, რომელშიც მოცემულია საერთაშორისო ვითარების ღრმა ანალიზი და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მტრული აქციები. ასეა შეფასებული: „ვაშინგტონს მოუწადინებია კვლავინდებურად, როგორც ათწლეულების წინათ, „ცივი ომის“ ენით დაგვიწყოს ლაპარაკი. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ამერიკის უკიდურესად მემარჯვენე ძალების საერთო კმაყოფილება გამოიწვია პრეზიდენტის განცხადებამ ჩვენს ქვეყანასთან ყოველგვარი ხასიათის კონტაქტების შეწყვეტის თაობაზე. გარდა ამისა, თეთრი სახლის მარტო ის გადაწყვეტილება რად ღირს, რომ მაუდქვეშ ამოდის ვენის ხელშეკრულება?! ხელშეკრულება, რომლის ქუბაშიც ძალასა და ხმას არ ზოგავდა იგივე კარტერი.

როდესაც ვეცნობით ამერიკის პრეზიდენტის უკანასკნელ სიტყვა გამოსვლას, უნებლიეთ გვახსენდება ბევრი ამერიკელი მიმომხილველისა და პოლიტიკური მოღვაწის კრიტიკული აზრი. სწორედ არათანამიმდევრობასა და უპრინციპობაში სდებდნენ ბრალს კარტერს. ასეთი ბრალდების რეალობა ერთხელ კიდევ დადასტურდა ამ დღეებში; რატომ მიმართა მან წინადადებით სენატს, რათა განუსაზღვრელი ვადით გადადებულიყო ვენის ხელშეკრულების განხილვა-რატიფიკაცია? განა შეიძლება მას არ ეს-მოდეს, თუ რა რეალურ საფრთხეს წარმოადგენს მთელი კაცობრიობისათვის სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულების ძალაში შესვლის თუნდაც ერთი კვირით გადადება?

ასეთი ტაქტიკით ხომ შეიძლება უმაქნის ქაღალდად იქცეს უდიდესი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის შეთანხმება. განა ასე დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც თეთრი სახლი ეგრეთ წოდებულ „ურთიერთდაკავშირ ებ ი ს“ ტაქტიკის მოწინააღმდეგედ გამოდიოდა და ოფიციალური განცხადებებით სასტიკად აკრიტიკებდა კისინჯერს, გლენს, ბეიკერს, ჰეიგს, ჯექსონს და სხვა ამერიკელ მოღვაწეებს, რომელნიც მოითხოვდნენ, რომ ერთ კომპლექსში განხილულიყო საბჭოთა კავშირის მთელი საგარეო პოლიტიკა და ვენის ხელშეკრულება?

გვახსენდება ცნობილი ამერიკელი სენატორის, სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის ჩერჩის ერთ-ერთი ინტერვიუ, როდესაც მან სწორედ „ურთიერთდაკავშირების“ თვალსაზრისით დასმულ შეკითხვაზე შეახსენა ჟურნალისტს, რომ სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის პირველი ხელშეკრულება იმ დღეებში დაიდო, როდესაც ამერიკელები ინტენსიურად ბომბავდნენ ვიეტნამის ნავსადგურს — ჰაიფონს, სადაც საბჭოთა გემებიც იდგნენ და საბჭოთა კავშირს ეს გარემოება არ დაუკავშირებია ხელშეკრულების ბედთან. გავიხსენოთ თვით პრეზიდენტის სიტყვებიც: „ჩემი, როგორც პრეზიდენტისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის მთავარი მოვალეობაა უზრუნველვყო ჩვენი ქვეყნისა და მისი მოსახლეობის უშიშროება. ამიტომ არაფერი არ იქნება ისე აუცილებელი, როგორც საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმების რატიფიკაციაო“.

არაფერი გვაქვს სადავო, სრული ეჭვშარიტებაა! მაგ, რა შეიცვალა ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ? რა მოხდა ისეთი, რამაც ხაზი გადაუსვა „ქვეყნისა და მოსახლეობის უშიშროების“ უაღრეს აუცილებლობას და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა შეთანხმების რატიფიკაცია?

უბრალოდ, პრეზიდენტმა გადაწყვიტა ერთმანეთისათვის დაეკავშირებინა ხელშეკრულების რატიფიკაცია და ავღანეთის მოვლენები. ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, თუ რა მოხდა ავღანეთში, აქ მხოლოდ ერთ დეტალს შევეხებით. ოფიციალური ვაშინგტონი ზოგადად გვდებს ბრალს საერთაშორისო ნორმებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევაში, მაგრამ არსად ახსენებს იმის, თუ კონკრეტულად რომელი საერთაშორისო კანონი ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების რომელი მუხლი დაარღვია ჩვენმა ქვეყანამ იმით, რომ სამხედრო დახმარება აღმოუჩინა ავღანეთის მთავრობას.

ჩვენ კი ნათლად ვუთითებთ საბჭოთა კავშირსა და ავღანეთს შორის არსებულ კონკრეტულ ხელშეკრულებებს და იგივე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლს.

თავის სიტყვაში კარტერმა ახსენა „ავღანეთის სტრატეგიული მდებარეობა“. ჭეშმარიტებაა, ავღანეთის მართლაც რომ სტრატეგიული მდებარეობა უკავია აზიაში, მაგრამ განა შეიძლება ავღანეთის სტრატეგიული მდებარეობის გამოყენება ამერიკის შეერთებული შტატების, ან მისი ევროპელი სამხედრო მოკავშირეების წინააღმდეგ? ეს ხომ აბსურდია! მეორეს მხრივ კი იგივე ავღანეთი იყენებს თავს. განა ისტორიამ არ მისცა 20-იანი წლების ამერიკის მესვეურებს იმის „ნათელი მაგალითი“, რომ კონტაქტებზე ხელის აღებით შეუძლებელია საბჭოთა კავშირთან პოლიტიკური ურთიერთობის მოპოვება? არც რევოლუციისა და სამოქალაქო ომის გამაჩანაგებელ წლებში აწვდიდა „ბოლშევიკურ რუსეთს“ ამერიკა პურსა და კომპიუტერებს, მაგრამ განა ამით რაიმე შეიცვალა? ნუთუ დღეს ამერიკაში სერიოზულად ფიქრობს ვინმე, რომ ჩვენი ხალხის ჯეიმლდღეობა რამდენიმე მილიონ ტონა ამერიკულ მარცვლეულზეა დამოკიდებული? განა ეს არის ნაქები ამერიკელი „საღი და საქმიანი“ მიდგომა საკითხისადმი?

ისტორიის ამ გაკვეთილებზე, გამოცდილებაზე საკვლევით ნათლად თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა: „და თუ ჩვენს პოლიტიკაზე ამ წვრილმანი თავდასხმებით ჩვენი სიმტკიცის გამოცდა მოუწადინებიათ, მაშასადამე, საერთოდ, დავიწყებიათ ისტორიის გამოცდილება, როცა 1917 წელს მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფო იშვა, ჩვენს ხალხს არავისთვის არ უთხოვია ამის ნებართვა. იგი ახლაც თვითონ გადაწყვეტს, თუ რა კანონებით იცხოვროს. იმპერიალიზმმა ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების გარიყულაზე დაგვიპირა შემოწმება, და ყველას ახსოვს, თუ რით დამთავრდა ეს. ჩვენს ფატხვას ცდილობდნენ ფაშისტი აგრესორები ყველაზე სისხლსმღვრელ ომში, როგორიც კი გადაუტანია კაცობრიობას. მაგრამ ისინი დამარცხდნენ. ჩვენ გვეცოდინენ „ცივი ომის“ წლებშიც, როცა უფსკრულისაკენ უბიძგებდნენ მსოფლიოს და ზედიზედ აჩაღებდნენ საერთაშორისო კრიზისებს. მაგრამ მაშინაც ვერავინ ვერაფერი დაგვაკლო. ურიგო არ იქნება, ყოველივე ეს დღეს რომ შევახსენოთ“.

ამ დღეებში „ნიუ-იორკ ტაიმსში“ ცნობილი ამერიკელი მიმომხილველი ჯეკ ანდერსონი სინანულით წერდა ამერიკის მთავრობის „განუკურნებელ სეზნზე“ — დიქტატორული რეჟიმისადმი არაგულგრილ დამოკიდებულებაზე, და მართლაც, როგორ ხდება, რომ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ყველა ანტიხალხური, დიქტატორული რეჟიმის ქომაგი და მეგობარი სწორედ ამერიკის შეერთებული შტატებია? სრული ნუსხა შორს წაგვიყვანდა, გავიხსენოთ მხოლოდ ბატისტა, სომოსა, ჩომბე, მობუტუ, პაკ ჩონ ჰი, პინოჩეტი, სტროესნერი, დიუვალიე, შაჰი და ასხვა კი ავღანეთის ფეოდალურ-კლერიკალური წრეები.

ყოველივე ამის შემდეგ კარტერი „კეთილშობილური“ აღმფოთებით აცხადებს, „ავღანეთი კვლავ უნდა ეკუთვნოდეს ავღანელ ხალხსო“. საინტერესოა, როდის, ნუთუ დაუდთა მონარქიის დროს ეკუთვნოდა ავღანეთი ხალხს?

ამ დღეებში უხცოელი ჟურნალისტები თავისუფლად ჩადიან ქაბულში. დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის წყაროებიც კი იძულებული არიან აღნიშნონ, რომ მათ ვერ ნახეს ის, რისი ნახვაც ყველაზე ძალიან სურთ — „საბჭოთა ოკუპაციის“ არგუმენტები. და მაინც, საბჭოთა დახმარება ავღანეთისადმი თურმე საერთაშორისო მდგომარეობის დესტაბილიზაციას იწვევს. საინტერესოა, მაინც როგორ ხდება, რომ ნატოს ევროპული არსენალის 600 ამერიკული ბირთვული რაკეტით შეევსება, ალიენდეს კანონიერი მთავრობის დამხობა, ირანის წინააღმდეგ გაუთავებელი ინტრიგები, მოაშოროს ირანის ყურადღება რეალურ საფრთხეს და ჩრდილი მიაყენოს საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობას.

იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტოს აღნიშნული ცნობა და თეთრი სახლის კომენტარი მაშინვე გამოიყენეს, როგორც კი ჩაიფუშა ამერიკის ცდა თავს მოეხვია უშიშროების საბჭოსათვის რეზოლუცია, რომელიც ამართლებდა ეკონომიკურ სანქციებს ირანის წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განაცხადა, რომ, თუმცა უშიშროების საბჭომ უარყო ეს რეზოლუცია, იგი „იმოქმედებს ისე, თითქოს რეზოლუცია ირანის წინააღმდეგ სანქციების შესახებ მიღებული იყოს“. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია კიდევ უფრო ორს მიდის. იგი კვლავ დაემუქრა ირანს, რომ გამოიყენებს მის წინააღმდეგ ყოველგვარ ღონისძიებას, კერძოდ სამხედრო ღონისძიებებს, რათა აიძულოს ქვეყნის რევოლუციური მთავრობა უსტაყვად დაემორჩილოს ამერიკის დიქტატს.

როგორც ჩანს, პრეზიდენტის თანამდგომი მიაჩნიათ, რომ, თუ ეკონომიკური სანქციები და სამხედრო ღონისძიებები ირანის წინააღმდეგ შეზავებული იქნება ამ ქვეყნის ნავთობის სარეწებისადმი საფრთხის მომიზეზებით, რომელიც, თითქოს, საბჭოთა კავშირისაგან მომდინარეობდეს, მაშინ მათი სამხედრო ავანტიურა ახლო და შუა აღმოსავლეთში ვაშინგტონისათვის უფრო იოლად ჩავლის. მაგრამ ასეთი ვარაუდი პრიმიტიულია, არავისთვის არ არის საიდუმლოება, თუ რა იფარება იმ დაძაბულობის გაძლიერების მიღმა, რომელსაც ვაშინგტონი ახორციელებს, რა საფრთხეს ქმნის არა საბჭოთა, არამედ ამერიკის შეიარაღებული ძალების კონცენტრაცია რაიონებში, რომლებიც აკრავს ირანსა და ამ რეგიონის სხვა სახელმწიფოებს.

რა მდგომარეობაა სინამდვილეში? მტკიცება ირანის საზღვარზე საბჭოთა ჯარების თავმყრისა და იმის შესახებ, თითქოს ეს ჯარები უმიზნებენ ირანის ნავთობის სარეწებს, უხეში ნაყალბევია. საბჭოთა კავშირის მეგობრული პოზიცია ირანის მიმართ არავის ოდნავ საეჭვოდაც არ მიაჩნია, და ვერავითარი პროვოკაციული განცხადებანი ვერ გააქარწყლებენ ამ ფაქტს. (საკდესი).

ბაზრაქ ქარმალის ინტერვიუ

ქაბული, 15 იანვარი. საბჭოთა კავშირი და სოციალისტური თანამეგობრობა ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების მთავარი დასაყრდენია. სსრ კავშირი ყოველთვის ატარებდა და ახლაც ატარებს ღრმად პრინციპულ, თანმიმდევრულ საგარეო-პოლიტიკურ ხაზს, რომლის მიზანია დაამკვიდროს და გაღრმავოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესი, აღიკვეთოს თერმობირთვული ომის საფრთხე. საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ეს პრინციპული ხაზი კიდევ ერთხელ ღრმად და ნათლად დაადასტურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის პასუხმა გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვებზე. ეს განაცხადა საკდესის კორესპონდენტებთან საუბარში ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ და პრემიერ-მინისტრმა ბაბრაქ ქარმალმა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

ნიუ-იორკი, 15 იანვარი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში დამთავრდა შეერთებული შტატების, ჩინეთისა და მათი მოკავშირეების მიერ თავს მოხვეული ხელოვნურად შექმნილი „ავღანეთის საკითხის“ განხილვა. სოციალისტური და მთელი რიგი მეუმხრობელი ქვეყნების წარმომადგენლებმა ეს განხილვა შეაფასეს როგორც იმის ცდა, რომ საერთაშორისო გაერთიანება ჩაბან მოქმედებაში, რომლის მიზანია ავღანეთის საშინაო საქმეებში ჩარევა, ამავე დროს სიცრუისა და ცილისწამების საშუალებით ახლო აღმოსავლეთში იმპერიალიზმის საომარი მზადების შენიღბვა.

მაგრამ ყველა დელეგაცია როდი გაერკვა იმ ამბების არსში, რომლებიც ამ ბოლო დროს ხდება ავღანეთში და მის გარშემო და ამის შედეგად ანტიავღანური კამპანიის ინიციატორებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეძლეს გაეყვანათ რეზოლუცია, რომელიც ფაქტობრივ მიზნად ისახავს ძირი გამოუთხაროს ავღანეთის სახელმწიფოს უშიშროებას, და წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წვრილი სუვერენული სახელმწიფოს საქმეებში აშკარა ჩარევას. ამ რეზოლუციას არა აქვს სავალდებულო ძალა, იგი მხოლოდ რეკომენდაციის ხასიათს ატარებს.

არგენტინის პოზიცია

ბუენოს-აირესი, 15 იანვარი. არგენტინას შეერთებული შტატების წინაშე არ უკისრია რაიმე ვალდებულება, რომელიც აიძულებდა მას შეეზღუდა საბჭოთა კავშირისათვის მარცვლეულის შესაძლო მომავალი მიწოდება — განაცხადა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სახელმწიფო მდივანმა ხორხე სორეგეტამ. სახელმწიფო მდივანმა უარყო ვაშინგტონის ცნობები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული სანქციების საკითხში არგენტინის პოზიციის თაობაზე. არგენტინა, აღნიშნა მან, მხარს არ დაუჭერს ვაშინგტონის ღონისძიებებს. ჩვენი პოლიტიკის საფუძველია არ გამოვიყენოთ ეკონომიკური სანქციები საერთაშორისო პოლიტიკური ზეგავლენის ფორმად“.

ПРОВОКАЦИОННЫЙ МОНАХОРИ

АМЕРИКА ЮНАЙТЕД ПРЕСС ИНТЕРНЕШНЕЛ ИНФОРМАЦИЯ ПРОВОКАЦИОННЫЙ МОНАХОРИ ИРАНА ПРЕДАТЕЛЬСТВО ПРЕЗИДЕНТ ИРАНА ПОЛИТИКА ИРАНА ПОЛИТИКА

რევაზ ასათი

სალამი

ქართველო, სალამს გიგზავნის ოსი,
ქართლო, ოსეთი მოკითხვას გითვლის.
ერთიმეორეს ვეხვევით, ვკოცნით,
როგორც მტკვრისა და ლიახვის ზვირთნი.

ჩვენ გუშინდელი როდი
ვართ ძმები,
ჩვენ მეგობრობა ძველთაგან მოგვდგამს.
ზიარი გვქონდა ძველთაგან ცრემლი,
ლხენაც ძველთაგან საერთო გვქონდა.

ქართველის გული, ქართველის სახლი
მეგობართათვის ღიაა მარად...
კახეთის ზვრების, ოდიშის ბაღის
ერთი შეხედვა სიცოცხლედ კმარა.

ჩვენ მეგობრობა გვიმძლავრებს სუნთქვას,
იგია, საქმედ რომ აქცევს სიტყვას;
ჭირში და ლხინში ერთად ვართ მუდამ,
ნინ მივაბიჯებთ საერთო გზითა.

სადაც ბურ-ხოხის ელვარებს თხემი,
გმირი ჩერმენის ბოხოხის მსგავსად,
სადაც პიტალოს ჩამოსდის ცრემლი,
სადაც გრიალი გაუდის ქარსა...

სადაც ფაფუკი ფრიალებს ნისლი,
როგორც დიაცის მანდილი თეთრი,
სადაც მდინარის ღრიალი ისმის,
და ეს ღრიალი ტყის შრიალს ერთვის.

სადაც ჩანჩქერი ჰკიდია კლდეზე,
ვით ბერიკაცის ქათქათა წვერი, —
იქიდანაა, რომ გიძღვნით ლექსებს,
იქიდანაა სალამი ჩვენი...

იქ აოცებდათ წარსულში ნართებს
თამარის სახე, სოსლანის მკლავი...
დღეს გაოცება თბილისით გვმართებს —
მისი ქუჩებით და მისი
მტკვარით.

აქ ვართ და ახლა ჩვენს თვალწინ არის
თბილისი, როგორც ვეება ფარი
და ფარზე, როგორც ვახტანგის ხმალი,
დადებულია ელვარე მტკვარი.

და დღეს ოსეთის მშვენიერ გულში
ჩვენ ხალხთა ძმობის სიმღერებს ვმღერით,
ეს სიმღერები — ჯერ კიდევ გუშინ
ჩვენს გულში იშვნენ ტალღებად ღელის,

რომ განფენოდნენ შემდეგში ხმელეთს,
ცა შეერყიათ ზათქით, ხმაურით
და ხალხებისთვის მიეცათ მერე
ბედნიერება და სიხარული.

და ჩვენც ხალხებთან ერთად ვართ, ერთად,
ცის თაღებს აღებს სიმღერა ჩვენი:
ლენინის დროშამ იხაროს ქვეყნად,
სამშობლოს ჩვენსას დიდების დღენი!

მ. მაჭავარიანის თარგმანი.

● ●

კოსტა მარღითი

ერთი წვეთი

დაიღვარა სისხლი —
ჩემიცა და სხვისიც,
და წვეთ-წვეთად მინამ
ნოვა მისხალ-მისხალ.

და ზღვისაკენ გაჰყვა
მდინარეთა მორევს
ომი? ომი, ომი —
ნუ იქნება, თორემ...

სადაც სხვების სისხლი
წავა, როგორც ერთის,
ალალ იყოს იქა
ჩემი სისხლის წვეთიც!

ლ. სტვილიას თარგმანი.

● ●

გაფეზი

მშობლიური მხარე

მშობლიური მხარე,
ახოვანი მთები...
ზეცა მოკამკამე —
ჯიხვებს მოაქვს რქებით!

ჩანჩქერების ხარხარს
კლდეთა სოველ უპეს,
ფერდობებზე ნახირს
და მეწამულ ღრუბლებს,
და ტყის ველურ თვალით
მოოქროვილ ტატნობს —
გაზაფხულის მძაფრი
სურნელება ათრობს.

მშობლიურო მხარევ
ამაყ შვილთა დედავ,
ვინ თქვა, მცირე არი
შენი მთა და ბარი,
მე შენს მთებზე მდგარი
მთელს მსოფლიოს ვხედავ!

ე. კერძევაძის თარგმანი.

● ●

ალექსანდრე ფუხათი

გულს მივცემდი

ცხოვრებაში ჩემს ერთადერთ სურვილს,
თუნდაც ერთხელ რომ შეესახა ფრთები,
ბოროტებან ამოვწვავდი სულაც
სიკეთის და სიყვარულის ნებით.
ვარსკვლავივით ვინათებდი ბნელში
და ჭრილობებს შეეუხვევდი მინას
ბოლოს, ჩემი უკვდავების ეშხით,
გულს მშობლიურ მთებს მივცემდი ფიცად.

ო. უალამბერიძის თარგმანი.

● ●

ლეონიდ ხარებათი

მიყვარს...

მიყვარს და ვეტრფი ამ ცის სინათლეს,
ბედნიერების უშრეტელ წყაროს.
ვეტრფი გულმაგარ არწივთა მართვეს,
ჩემი მამულის სიმაღლით ვხაროობ.

მიყვარს სამშობლოს მთები და ბარი,
როცა სამოსელს ნოხივით გაშლის...
მეც ფუტკარივით ვშრომობ და მიყვარს
თაფლის მიტანა ოსეთის სკაში.

ა. გურგენიძის თარგმანი.



სურათებზე: ზნაურის რაიონის მუგუთის კოლმეურნეობის მექანიზატორი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ყ. ჭილეხსაევი; მომდინარეობს ცხინვალის ხე-ტყის კომბინატის რეკონსტრუქცია; ყოველ 100 ნერგზე 100 ბატკანი გამოზარდა ლენინგორის რაიონის ლარგვისის კოლმეურნეობის მეორე ბრიგადის ხელმძღვანელმა გ. რუსიტაშვილმა.

ინტერნაციონალიზმი და პატრიოტიზმი, ეროვნულ ღირსებათა პატივისცემა, მეგობრობისა და ძმობის გრძნობები ორგანულად ახასიათებს საბჭოთა ადამიანებს — ერთიანი და ამავე დროს მრავალეროვანი სოციალისტური საზოგადოების მშრომელებს. ჩვენს ქვეყანაში უზრუნველყოფილია სახელმწიფოებრიობის სფუძველზე ყველა რესპუბლიკის, თითოეული საბჭოთა ერისა და ეროვნების ეკონომიკისა და კულტურის აყვავება, ყოველმხრივი სოციალური პროგრესი.

ამის მკაფიო დადასტურებაა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელმაც მოძმე ქართველი ხალხის, დიდი რუსი ხალხის, სსრ კავშირის ყველა ხალხების დახმარებით დასძლია საუკუნეობრივი ჩამორჩენა და ახლა ლაღად სუნთქავს საბჭოეთის დიდ ოჯახში.

ჩვენ ავტონომიური ოლქის სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგის მუშაკებს წილად ვვხვდა ბედნიერება გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით მოგითხროთ ჩვენი მხარის წინსვლის გზაზე მეათე ხუთწლედში, არჩევნებისათვის სამზადისზე.

გასული არჩევნებიდან დღემდე შრომის მაღალი რიტმი ანთია სამხრეთ ოსეთში. ეს იყო ახალი სიმაღლეების დაპყრობის დრო.

მეათე ხუთწლედში მკვეთრად გაიზარდა სამხრეთ ოსეთის მრეწველობა. ამჟამად ოლქის

მრავალრიცხოვანი საწარმოები სამშობლოს აძლევენ ტყვიათუთიის კონცენტრატებს, ბარიტს, ტალკს, ელექტროვიბრაციულ მანქანებს, მომინანქრებულ სადენს, ავეჯს, პარკეტს, აგურს, საკედლე ბლოკებს, ლუდსა და ხილეულ წყლებს, ხილ-კენკროვანთა ღვინოს, სამკერვალო ნაწარმს, ამწეს კაბინებს, მინერალურ წყლებს, კომბინირებულ საკვებს, საღებავებსა და სარეცხ საშუალებებს... მარტო ელექტროვიბრაციული მანქანების ქარხანა თავის პროდუქციას გზავნის საზღვარგარეთის 19 ქვეყანაში.

ასეთია ჩვენი ინდუსტრიული მხარის სურათი. განვლილი წლების შედეგები გვეამაყება. 1940 წელთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა სამხრეთ ოსეთში გაიზარდა 13-ჯერ, ხოლო 1922 წელთან შედარებით — 100-ჯერ. მრეწველობის ზრდასთან ერთად იზრდება ჩვენი მუშათა კლასი.

სამხრეთ ოსეთის ახალი მძლავრი მაჯისცემა არის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 25 იანვრის დადგენილება „სამხრეთ ოსეთის

სურათებზე: გრძელდება ტრანსკავკასიის საავტომობილო გზის როკის გვირაბის მშენებლობა; ზნაურის რაიონის ავნევის მეცხოველეობის მოწინავე მწველავები.

ავტონომიური ოლქის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. გამოყოფილია სათანადო თანხა ოლქის ეკონომიკური პოტენციალის შემდგომი ამაღლებისა და გაფართოებისათვის. დასახული გეგმების განხორციელება საშუალებას მოგვცემს თითქმის სამჯერ გავადიოთ სამრეწველო წარმოების მოცულობა. დიდძალი თანხები ხმარდება ისეთი საწარმოების რეკონსტრუქციასა და ხელახალ ტექნიკურ შეიარაღებას, როგორებიც არიან ელექტროვიბრომანქანისა და მომინანქრებული სადენის ქარხნები, ხე-ტყის კომბინატი და სხვა საწარმოები, რაც საშუალებას მოგვცემს მინიმალური კაპიტალურად დანახარჯებით სამრეწველო წარმოების მაქსიმალურ მატებას მივაღწიოთ. მარტო მიმდინარე ხუთწლედში ოლქის სამრეწველო წარმოების მოცულობა 87 მილიონ მანეთს გადააჭარბებს. 1975 წელს კი 56,9 მილიონ მანეთს შეადგენდა. სამრეწველო წარმოების საშუალო წლიური მატება 9,6 პროცენტს შეადგენს, ხოლო ზრდის საერთო ტემპი 148 პროცენტს.

სასიხარულოა, რომ ოლქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ფართოდ დაუჭირეს მხარი რუსთაველ მეტალურგთა ინიციატივას, აგრეთვე ქუთაისელ ავტომშენებელთა და თბილისის პირველი მაისის რაიონის მშრომელთა თაოსნობას — იმუშაონ უჩამორჩენილებოდ, და კარგ წარმატებებსაც მიაღწიეს. მათ ვადაზე ადრე შეასრულეს მეათე ხუთწლედის ოთხი წლის გეგმები და დავალების გადაჭარბებით გამოუშვეს მილიონნახევარ მანეთის პროდუქცია.

არჩევნებისათვის მზადების დღეებში ახალი ინიციატივით გამოვიდა ცხინვალის ელექტროვიბრომანქანის ქარხნის კოლექტივი, რომელმაც იკისრა შრომის ნაყოფიერების ამაღლების გზით პირადი ხუთწლედი შეასრულოს ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის აღსანიშნავად.

ამ წამოწყებას ფართოდ გამოეხმაურნენ ოლქის საწარმოთა კოლექტივები. ოლქის სამრეწველო საწარმოებში იზრდება შრომის ნაყოფიერება, მტკიცდება სახელმწიფო და შრომის დისციპლინა.

მიმდინარე წელს აღებული სოციალისტური ვალდებულებები და შეხვედრი გეგმები მეტყველებენ მრეწველობის, სოფლის მუშაკებისა და ინტელიგენციის დიდ მისწრაფებაზე — ღირსეული შრომითი საჩუქრებით შეხვდნენ დიდი ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს. მხოლოდ მაღალი ხარისხი! — აი მათი მიზანი. საამისოდ შესანიშნავი წინაპირობები არის შექმნილი. მთელი სამრეწველო პროდუქციის 8 პროცენტს მინიჭებული აქვს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი. ამ მხრივ განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწევს მომინანქრებული სადენების ქარხნისა და სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივებმა.

სამხრეთ ოსეთში ხორცეულეღება დიდი სამშენებლო პროგრამა. წინა არჩევნების შემდეგ აშენდა „მინერალური წყლის „ბაღიათის“ ჩამომსმელი ქარხანა (3,5 მილიონნი ბოთლი წელიწადში); მთავრდება ვარიან-ცხინვალის წყალსადენის მეორე რიგის მშენებლობა. მიმდინარეობს ტრიკოტაჟის ფაბრიკის მშენებლობა, რომელიც წელიწადში გამოუშვებს 9 მილიონი მანეთის პროდუქციას. სახე იცვალა ცხინვალის ეხუცესმა საწარმომ — ხე-ტყის კომბინატმა. ძირითადად დამთავრდა მისი რეკონსტრუქცია. ოლქის სამრეწველო პოტენციალის ზრდაში სათანადო წვლილი შეაქვთ ტრანსპორტის მუშაკებსა და მშენებლებს.

სამხრეთ ოსეთის მშრომელებს ახარებთ ტრანსკავკასიის საავტომობილო გზის წარმატებით მშენებლობა. სამხრეთის უბნის მშენებლებმა 1979 წელს რეკორდულ მაჩვენებლებს მიაღწიეს, გვირაბი გაყვანილია ერთ კილომეტრზე. სამხრეთ ოსეთის სოფლის მშრომელთა სიხარული გააძლიერა მდინარე პატარა ლიახზე ზონკარის წყალსაცავის მშენებლობის დამთავრებისათვის გაწეულმა ვაჟკაცურმა შრომამ. ეს უნიკალური ნაგებობა შესაძლებელს გახდის გასარწყვდეს სამხრეთ ოსეთისა და ქართლის რაიონების ათეულ ათასობით ჰექტარი მიწა. ამრიგად, მწყობრში ჩადგება მიწის დიდი რეზერვი.

ამჟამად ოლქის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მაღალმექანიზირებული სასოფლო-სამეურნეო სპეციალისტებით სოფლის უზრუნველყოფას. ამჟამად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მუშაობს უმაღლესი განათლების მქონე 181 სპეციალისტი. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობას ემსახურება 278 საშუალო სპეციალური განათლების მქონე მუშაკი.

ყოველივე ამან შესაძლებელი გახადა ამაღლებულიყო შრომის ნაყოფიერება. უკანასკნელ ათწლეულში იგი კოლმეურნეობებში გაიზარდა 30 პროცენტით, საბჭოთა მეურნეობებში — 24 პროცენტით. ხორცის წარმოება გაიზარდა 2,5-ჯერ, რძისა — ორჯერ, კვერცხისა — 1,9-ჯერ, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა — 17,6 პროცენტით, ღორებისა — 89,2 პროცენტით, ცხვარ-თხისა — 89,3 პროცენტით.

სოფლის მეურნეობის წარმოების ალმავლობისადმი განუხრელმა ზრუნვამ მეათე ხუთწლედში გაზარდა სოფლის მეურნეობის წარმოებული პროდუქციის მოცულობა, ამაღლდა მინდვრის მოსავლიანობა და პირუტყვის პროდუქტიულობა. ამან განაპირობა ის, რომ მნიშვნელოვნად გადიდდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება. სახელმწიფოს ჩაბარდა გაცილებით მეტი მარცვალი, შაქრის ჭარხალი, ხილი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. გადაჭარბებით შესრულდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალებები. მაგალითად, მეათე ხუთწლედის განვლილ ოთხ წელიწადში სახელმწიფოს მიეყიდა 4,7 ათასი ტონით მეტი მარცვლეული, 32 ათასი ტონით მეტი ხილი, 11,2 ათასი ტონით მეტი შაქრის ჭარხალი, 3,5 ათასი ტონით მეტი ხორცი, 11,5 ათასი ტონით მეტი რძე და 12 მილიონით მეტი ცალი კვერცხი, ვიდრე მთლიანად მეცხრე ხუთწლედში. ახლა ოლქის საზოგადოებრივი მეცხოველეობის ფერმებში 38 ათასამდე სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და 100 ათასზე მეტი თხა-ცხვარია.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ლენინგორელები. მატყლისა და ნამატის მიღებაში მათ მეათე ხუთწლედის მიჯნა დაიპყრეს. სოფელ უკანამზარის კოლმეურნეობა „საქართველო“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის ორგზის მფლობელია. სოფლის მეურნეობის განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისათვის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი დაჯილდოვდა რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშით, რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშები მიეკუთვნათ აგრეთვე ქალაქ ცხინვალსა და ზნაურის რაიონს.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის, სადღეისო მოთხოვნების შესაბამისად მოწყობისათვის ჯერ კიდევ დიდი შრომა მართებთ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, ყველა მშრომელს, ვისთვისაც ძვირფასია მშობლიური მხარის ერთგულება და სიყვარული. უნდა გავამართლოთ ის იმედი, რომელსაც ჩვენზე ამყარებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და მინისტრთა საბჭო, რომ სამხრეთ ოსეთი გადაიქცეს მაღალმწარმოებლურ მეცხოველეობის რეგიონად.

მეათე ხუთწლედში ოლქის სოფლის მეურნეობა ვითარდება წარმოების ყოველმხრივი კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის გზაზე, რაც მომავალში საშუალებას იძლევა შეიქმნას სამეურნეობათაშორისო, აგრარულ-სამრეწველო ხასიათის ეკონომიკა, ეს კი განამტკიცებს თითოეულ მეურნეობას, აამაღლებს წარმოების ეფექტიანობას და უზრუნველყოფს ყველა მეურნეობის დინამიკურ და ჰარმონიულ განვითარებას.

პირველი ნაყოფიერი ნაბიჯები სოფლის მეურნეობის დარგების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გზაზე გადადგმულია. წინა არჩევნების შემდგომ პერიოდში ცხინვალის რაიონის სოფელ კოხათში აშენდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სასუქი კომპლექსი 3 ათასი სულისათვის, სარძიო კომპლექსი 800 სული ძროხისათვის — ზნაურის რაიონის სოფელ ნედლათში, ამავე რაიონის სოფელ ბეყმარში სასუქი კომპლექსი 1200 სული ღორისათვის. სასურველი შედეგებია მიღწეული როგორც მემინდვრეობაში, ისე მეცხოველეობაში. ამას თვალნათლივ

ხედავენ სამხრეთ ოსეთის სოფლის მშრომელები და ზრუნავენ კიდევ ერთი ეტაპი დარგის ინტენსიური სპეციალიზაციისა და კონცენტრაციისათვის.

მეათე ხუთწლედის ოთხი წლის ოლქის კოლტურული ცხოვრების ალმავლობის წლებიც იყო. გაფართოვდა ზოგადსაგანმანათლებელი სკოლებისა და სხვა სასწავლებლების, სამედიცინო და კულტსაგანმანათლებელო დაწესებულებათა ქსელი, სადაც ათასობით სპეციალისტი მოღვაწეობს. ახლა სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიურ ინსტიტუტებში 80-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი და დოქტორი მუშაობს.

დიდ წარმატებებს მიაღწია ოსურმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ. ოსი მწერლების ნ. ჯოსოითის, გაფუზის, ვლ. გაგლოითის, კ. მარგითის, რ. ასათის და სხვათა ნაწარმოებები თარგმნილია საბჭოთა ხალხების მრავალ ენაზე. ოს მეცნიერებს ბ. ტეხოვს, ნ. ჯოსოითის, ს. გადარაევს, ბ. პლიევს, ზ. გაგლოევას, ლ. ჩიბიროვს, რ. კაბისოვს და სხვებს დიდი წვლილი შეაქვთ ჩვენი ხალხების ეროვნიული აზროვნების ისტორიაში.

ეკონომიკისა და კულტურის განვითარებას თან სდევს მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი ალმავლობა. განვლილ დროში დიდი სიკეთით აივსო სამხრეთ ოსეთის მშრომელთა გულები. მოსახლეობის ფულადი შემოსავალი გაიზარდა 30 მილიონ მანეთზე მეტით, მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი გადიდდა 30,4 პროცენტით, განსაკუთრებული ყურადღება ეჩცევა საბინაო მშენებლობას. ცხინვალსა და რაიონულ ცენტრებში საექსპლოატაციოდ გადაეცა თითქმის ერთი-ორად მეტი საცხოვრებელი ბინები, ვიდრე მთელ წინა ხუთწლედში. მარტო ცხინვალში 870 ოჯახმა იზეიმა ახალმოსახლეობა, აშენდა სკოლები, საბავშვო ბაგა-ბაღები, საოლქო ბიბლიოთეკა, პიონერთა სასახლე, ორი ტურისტული ბაზა თითოეული 260 ადგილით, სანეპიდსადგურის ოთხსართულიანი შენობა, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. მიმდინარეობს ბუნებრივი გაზისა და წყალსადენის ქსელის გაფართოების სამუშაოები. მარტო ცხინვალში მარშან ასფალტი დაიგო 69 ათას კვადრატულ მეტრ ფართობზე, ქუჩები შეკეთდა 25 ათას კვადრატულ მეტრ ფართობზე...

ყოველივე ეს კი იმის შედეგია, რომ თანმიმდევრულად ხორციელდება კომუნისტური პარტიის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს ლენინური ეროვნული პოლიტიკა.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლის გეგმა და ბიუჯეტი, რომელიც დაამტკიცა გასული წლის 27 დეკემბერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს სესიამ, ახალ ჰორიზონტებს შლის ოლქის მშრომელთა წინაშე. მისი შესრულება აამაღლებს ხალხის კეთილდღეობის დონეს, უფრო მეტად განავითარებს ოლქის სახალხო მეურნეობას, კულტურას.

1980 წელს სამრეწველო პროდუქციის წარმოება 10 მილიონი მანეთით გადაჭარბებს 1979 წლის დონეს. მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობის 82.942 ათას მანეთამდე მიღწევა უზრუნველყოფს ხუთწლედის საკონტროლო ციფრებს გადაჭარბებით შესრულებას, როგორც აბსოლუტური, ისე ზრდის ტემპების მიხედვით, ხუთწლედის დავალების ზევით გამოშვებული იქნება 2.850 ათასი მანეთის პროდუქცია.

ახალი ჰორიზონტები იშლება სოფლის წინაშეც. 1980 წლისათვის დასახული ამოცანები გამმდინარეობენ სკკპ XXV ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის (1978 წელი) და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან.

სოფლის მეურნეობაში საერთო პროდუქციის მოცულობამ 23,8 მილიონ მანეთს უნდა მიაღწიოს, მთელი რიგი დარგების ტექნიკური შეიარაღებით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების შედეგად მიღწეული იქნება პროდუქციის წარმოების უფრო მყარი ზრდა, სზსოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლება. მნიშვნელოვანი ღონისძიებებია დასახული მიმდინარე წელს ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისათვის.

სამხრეთ ოსეთის მშრომელთათვის ახალი სიხარულის მომტანი იქნება მეთერთმეტე ხუთწლედი. ოლქში აშენდება 9 სამრეწველო ობიექტი, 25 სასოფლო-სამეურნეო ობიექტი, აგრეთვე ჯანმრთელობის 5 დიდი კერა, მრავალი სკოლა; ცხინვალს დაამშვენებს პედაგოგიური ინსტიტუტის, სახელმწიფო მუზეუმისა და სახელმწიფო თეატრის უნიკალური ნაგებობანი.

ყველა საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ორგზის ორდენოსანი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელები, რომლებიც მჭიდროდ არიან დარაზმული მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, ყველანაი თავდადებით იშრომებენ სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის, ახალი წარმატებებით შეეგებიან არჩევნებს, ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს.

ფ. ბასიევა — ცხინვალის მომინანქრებული სადენების ქარხნის მუშა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი; **ნ. ზასეევი** — ცხინვალის ელექტროვიბრაციული მანქანების ქარხნის მღარავი; **ყ. ჭელეხსაევი** — ზნაურის რაიონის მუგუთის კოლმეურნეობის მექანიზატორი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი; **ი. გაბლოითი** — სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი; **ბ. ძუბაევი** — პოეტი, კ. ხეთაგუროვის სახელობის პრემიის ლაურეატი; **პ. ნანიევი** — კვაისის მაღაროთსამმართველოს ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი; **ბ. ხადური** — ცხინვალის რაიონის ერედვის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი; **ვ. ჯიოევი** — ჯავის რაიონის წონის საბჭოთა მეურნეობის საკვებმომპოვებელი ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი; **ი. ბაშარული** — ლენინგორის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი; **ბ. ტეხოვი**—სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი; **ბ. თედეევი** — „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

დღე მშვიდობისა, ოსეთო ჩემო!

საქართველო რომ აუვავებულ კოლონიალისტურ რესპუბლიკად გადაიქცა, ეს საქართველო მუშების, გლეხების, ინტელიგენციის დამსახურებაა, აფხაზების, ოსების დამსახურებაა, უველა ეროვნების მშრომელთა დამსახურებაა, ოლიმლებიც თქვენს რესპუბლიკაში ცხოვრობენ და შრომობენ.

ლ. ი. ბრეჟნევი.

ციფრების ენით

● მეათე ხუთწლედში სამხრეთ ოსეთის სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა 25 პროცენტით გაიზარდა.

● რეალიზებულია 6 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების ზეგეგმითი პროდუქცია.

● ჯავის რაიონში აშენდა 3,5 მილიონი მანეთი სიმძლავრის მინერალური წყლის „ბაღიათას“ ჩამომსხმელი ქარხანა.

● გასულ არჩევნებიდან დღემდე მარტო ცხინვალში საექსპლოატაციოდ გადაეცა 21 საცხოვრებელი სახლი, რომელშიც 870 ოჯახმა იზეიმა ახალმოსახლეობა. 300 ერთეულით გაიზარდა საავადმყოფო საწოლების რაოდენობა, 1.300 ადგილით გაფართოვდა სასკოლო შენობები. საექსპლოატაციოდ გადაეცა საოლქო ბიბლიოთეკის შენობა.

● მეათე ხუთწლედის ოთხ წელიწადში სახელმწიფოს მიეყიდა 11,2 ათასი ტონით მეტი შაქრის ჭარხალი, 35 ათასი ტონით მეტი ხორცი, 11,5 ათასი ტონით მეტი რძე, 12 მილიონი ცალით მეტი კვერცხი, ვიდრე მთლიანად მეცხრე ხუთწლედში.





სურათებზე: ხეზონში ხილის რეკორდული მოსავალი მოკრიფა ცხინვალის რაიონის არცევის საბჭოთა მეურნეობის „იმ ბრიგადამ, რომელსაც ბ. გოაევი ხელმძღვანელობს; ზამთარი ეროს ტბაზე.

ლ. გუსკოვის ფოტო.

პროფესიონალი რევოლუციონერი



ᲠᲣᲡᲘᲗᲘᲡ პირველი რევოლუციის აღმავლობის დღეებში — 1905 წლის ნოემბერში პეტერბურგში ბოლშევიკური გაზეთის „ნოვაია ჟიზნის“ რედაქციის სხდომაზე, რომელიც ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა, ლ. ბ. კრასინმა მიიყვანა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მოსკოვის არალეგალური სტამბის მუშაო-რევოლუციონერი ს. თოდრია. „ვლადიმერ ილიჩ! — მიმართა კრასინმა ლენინს, — აი ეს არის ჩვენი სილა!“. ლენინმა თოდრიას მაგრად ჩამოართვა ხელი და ღიმილით ჰკითხა: „როგორ ცხოვრობთ? როგორ არიან ბიუები?“ — ვ. ი. ლენინი ბიუებში გულისხმობდა არალეგალური სტამბის მუშებს, რომელთა ღვაწლს დიდად აფასებდა, მათ რევოლუციის გმირებს უწოდებდა.

სილიბისტრო (სილა) იესეს ძე თოდრია დაიბადა 1880 წლის 16 (4) იანვარს ჩოხატაურის რაიონის (ყოფილი ოზურგეთის მაზრა) სოფელ იანეულში, ღარიბი გლეხის ოჯახში. 1897 წელს ბათუმში ჩამოვიდა, გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ სტამბაში მოეწყო და ასოთამწყობობა ისწავლა. ცოდნის შეძენას მოწყურებული ახალგაზრდა საკვირაო სკოლაში მეცადინეობდა, 1901 წლის ივლისში მონაწილეობა მიიღო სტამბის მუშათა გაფიცვაში. იმავე წელს არალეგალური სოციალ-დემოკრატიული წრის წევრი გახდა. ს. თოდრია მონაწილეობდა ბათუმის მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრეების წარმომადგენელთა კონფერენციაში, რომელიც ახალი წლის შეხვედრის სახით 1901 წლის 31 დეკემბერს ი. სტალინმა მოაწყო. აქ საფუძველი ჩაეყარა ლენინურ-ისკრული მიმართულების ბათუმის ხელმძღვანელ სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში ს. თოდრია შეიყვანეს. 1902 წელს იგი რსდმპ რიგებში შეივიდა. მისი აქტიური მონაწილეობით ბათუმში მოეწყო პირველი არალეგალური სტამბა, სადაც ბეჭდავდა ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის პროკლამაციებს. ს. თოდრიას რამდენჯერმე მოუხდა ბაქოს არალეგალური სტამბის „ნინას“ ხელმძღვანელის, პროფესიონალი რევოლუციონერის ლადო კეცხოველის დავალებით შავი ზღვით ლენინურ-ისკრული ლიტერატურის მიღება. 1902 წლის დამლევს ს. თოდრია ბაქოს მიემგზავრება და 1905 წლამდე სტამბა „ნინაში“ მუშაობს. აქ მასთან ერთად იყვნენ ი. სტურუა, ტ. ენუქიძე, ა. ენუქიძე, ი. ბოლქვაძე, უ. ჯაში, ა. ხუმარიანი და სხვები. ამ სტამბაში წარმოებდა ლენინური „ისკრის“ გადაბეჭდვა, აქვე იბეჭდებოდა კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვ. ი. ლენინის შრომები და სხვა პარტიული ლიტერატურა.

1904 წელს ს. თოდრია პარტიის დავალების შესასრულებლად რუსეთის სხვადასხვა ქალაქში მოგზაურობს. ყანდარმერია თვალყურს ადევნებს მას, მაგრამ იგი მტკიცედ იცავს კონსპირაციას და ახერხებს ბათუმსა და ორეხოვო-ზუევოში არალეგალური სტამბების მოწყობას.

1905 წლის სექტემბერში პარტია ს. თოდრიას გზავნის მოსკოვში რსდმპ ცენტრალური კომიტეტის არალეგალურ სტამბაში (ლესნაია ქუჩაზე) სამუშაოდ. ეს სტამბა მოთავსებული იყო სპეციალურად აშენებულ მიწისქვეშა ბინაში. სტამბის ზემოთა ოთახში გამართული იყო კავკასიის ხილის სავაჭრო მაღაზია. არალეგალური სტამბის ვიწრო ბინაში, სულის შემხუთავ ატმოსფეროში, ლამპის მბჟუტავ სინათლეზე მუშაობდნენ ს. თოდრია, გ. სტურუა, ტ. ენუქიძე, ა. იაშვილი, უ. ჯაში და სხვები. აქ ბეჭდავდნენ რსდმპ ცენტრალური კომიტეტის ორგანოს გაზეთ „რაბოჩის“, ფურცლებსა და პროკლამაციებს. „რაბოჩი“ იყო პოპულარული, მებრძოლი ბოლშევიკური გაზეთი, რომელმაც ვ. ი. ლენინის მაღალი შეფასება დაიმსახურა.

1905 წლის დეკემბერში, როდესაც მოსკოვის ქუჩებში ბარიკადები გაიმართა და შეიარაღებული აჯანყება დაიწყო, ს. თოდრია სტამბის სხვა მუშებთან ერთად იატაკქვეშეთიდან ამოდის და გმირულად იბრძვის. აქ იგი დაიპატიჟრეს და ბუტირკის ციხეში ჩასვეს. შვიდი თვის შემდეგ პატიმრობიდან გაათავისუფლეს და კვლავ მოსკოვის არალეგალურ სტამბაში დაბრუნდა.

1907 წლის თებერვალში ს. თოდრია პეტერბურგს გაემგზავრა და მუშაობდა ჯერ ლეგალურ ბოლშევიკურ სტამბა „ფილოში“. შემდეგ ვიბორგის (ფინეთი) არალეგალურ ბოლშევიკურ სტამბაში, სადაც მთელი საგამომცემლო საქმე ლენინის მეერ ძირითადად კავკასიელ /მუშა-რევოლუციონერებს ჰქონდათ დაკისრებული. აქ ბეჭდავდნენ გაზეთებს „პროლეტარს“, „ვპერიოდს“, ბროშურებსა და ფურცლებს. პეტერბურგსა და ვიბორგში იგი ხვდება ვ. ი. ლენინს, ისმენს მის მოხსენებებს.

1908 წლის დამდეგიდან ს. თოდრია პეტერბურგში ცხოვრობს. მუშაობს ლეგალურ სტამბებში, ამავე დროს ეწევა რევოლუციურ მოღვაწეობას, იგი მბეჭდავთა პროფკავშირის გამგეობის წევრია. მას პოლიცია სდევნის, მაგრამ სხვისი გვარით ახერხებს იქ ცხოვრებას. 1915 წელს თბილისში ჩამოდის, უკავშირდება ბოლშევიკურ ორგანიზაციას და ასრულებს მის დავალებებს, პროპაგანდისტულ და ორგანიზატორულ მუშაობას ეწევა მბეჭდავთა პროფკავშირში.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ ს. თოდრია პარტიულ გამომცემლობას ჩაუდგა სათავეში. მისი მონაწილეობით გამოდიოდა ბოლშევიკური გაზეთები „კავკაზსკი რაბოჩი“, „ბრძოლა“ და შემდეგ „კავკასკაია პრავდა“. 1918 წლის მაისში რკპ (ბ) კავკასიის სამხრეთ კომიტეტის სხვა წევრებთან ერთად მიდის საბჭოთა ვლადიკავკაზში, სადაც დანიშნეს კონტრრევოლუციისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომისიის თავმჯდომარედ, ამავე დროს ეწევა საგამომცემლო საქმიანობას, გაანაგრძობს გაზეთების „ბრძოლისა“ და „კავკაზსკაია პრავდის“ გამოცემას.

1919 წლის დამდეგს, ჩრდილო კავკასიაში კონტრრევოლუციის დროებით გამარჯვების შემდეგ, ს. თოდრია სხვა ამხანაგებთან ერთად საქართველოში დაბრუნდა. იგი ჯერ გურიაში მუშაობდა არალეგალურად, 1919 წლის ზაფხულში თბილისში ჩამოვიდა და რკპ(ბ) სამხარეო კომიტეტის დავალებით თბილისში დიღომბარის (ყოფილ ნაგორნაიას) ქუჩა № 4 სახლში მოაწყო არალეგალური სტამბა, სადაც მისი ხელმძღვანელობით იბეჭდებოდა ბოლშევიკური გაზეთები, ფურცლები და პროკლამაციები. ს. თოდრიას მეშვეიკური მთავრობა სდევნის, მაგრამ იგი შეუპოვრად გასაგრძობს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლას. 1920 წლის ივნისში, როგორც კი დაიწყო გაზეთი „კომუნისტის“ გამოსვლა, ს. თოდრია ხელმძღვანელობს მის გამოცემას. 1920 წლის ივლისში იგი გაგზავნეს კომინტერნის II კონგრესზე დელეგატად. 1921 წლის 25 თებერვალს, როდესაც თბილისში საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა აფრიალდა, ს. თოდრია ქალაქის პირველ რევკომის თავმჯდომარედ აირჩიეს. შემდეგ იგი სხვადასხვა დროს იყო საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის, მიწათმოქმედებისა და შრომის სახალხო კომისარი, საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ეურნალ „ნიანგის“ რედაქტორი, საქართველოს სსრ და ამიერკავკასიის სფსრ ცაკის მდივანი, საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის, პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის, საქართველოს სსრ, ამიერკავკასიის სფსრ და სსრ კავშირის ცაკის წევრი.

ს. თოდრია ლიტერატურულ მოღვაწეობასაც ეწეოდა: წერდა ფელეტონებსა და სატირულ-იუმორისტულ მოთხრობებს. მისი მახვილი სატირა მიმართული იყო კლასობრივი მტრის წინააღმდეგ. თავის ფელეტონებსა და ბროშურებში ამათრახებდა მუქთახორებს, მექრთამეებს, ბიუროკრატებსა და საზოგადოების ყოველგვარ მანკიერებას.

ს. თოდრია 1936 წლის 8 ივნისს გარდაიცვალა. დაკრძალულია მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. მგზნებარე პროფესიონალი რევოლუციონერის, საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის, მშრომელი ხალხის ბედნიერებისათვის დაუცხრომელი მებრძოლის ს. თოდრიას შესანიშნავი ცხოვრება და მოღვაწეობა სამაგალითოა კომუნისტის, მშენებელი საბჭოთა მოქალაქეებისათვის.

ზ. გეგეშიძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

ჩანახატები კალმით

ᲔᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ რომ დავინახე, სახატავი რვეული მეგონა... მასში მართლაც ჩახატულია, ოღონდ სიტყვებით, საქართველოს წყაროებს მშვენიერება, მადლიანობა, თავგადასავალი.

„წყაროსთან თეთრი ქვებია“ — ასე დაუსათაურებია თავისი ახალი წიგნი ჩვენი საბავშვო ლიტერატურის დიდ მოამაგეს, მწერალ მარგო თომაძეს.

„ბევრი დაუჯერებელი, საოცარი სინამდვილე ხალხში ლეგენდად იქცა. წყაროებსაც აქვს თავისი ლეგენდად ქცეული წარსული“, — წერია ანოტაციაში და, მართლაც, ვინ არ დაინტერესებულა თავის მამულში მოჩუხჩუხე წყაროების „ვინაობით“, მათი სახელწოდების ამოცნობა-ამოხსნით.

მარგო თომაძის გზა, გზა ეთნალისტისა და მწერლისა, საითაც უნდა წასულიყო, უეჭველად წყაროსკენ გადაუხვევდა! ასე „შეადგა“ მან „წყაროების კოლექცია“ და შეკონა წიგნად, რაიც საამო საკითხავია არათუ მხოლოდ მოზარდთათვის, მოზრდილთათვისაც, მათში ბევრი ჩვენგანი თავისი ბავშვობის წყაროსაც წააწყდება.

...ასეთია ჩემთვის „თავგატეხილა“, სიღნაღის ეს ცნობილი წყარო, სადაც ზაფხულის პაპანაქება სიცხეში კოკებაკიდებული სახედრებით წავიყვანივართ ხოლმე მე და ჩემი დეიდაშვილი ჩემს კეთილ დეიდას....

აქ „თავგატეხილი“ კოკებიც მინახავს და თავგატეხილი ბიუებიც!

დახეთ, რა გამორჩეული, პოეტური, და უცნაური სახელებიც ჰქონიათ საქართველოს მთა-ბარში მოლივლივე ამ წყაროებს: ხარხარა წყარო (რაჭაში), ჩაჩქანა წყარო (ქართლში), ჭინკის წყარო (აჭარაში), და უკეთესმა წყაროო (ახალციხეში), ზოგი კი ჩვენი სათაყვანო ადამიანების ხსოვნასთან არის დაკავშირებული — თამარისა და შოთას, აკაკისა და ილიას, ვაჟასა და ბალაკტიონის სახელები დაუნათლავს ხალხს მათთვის. „ბარაკონის მიდამოებში ორი წყარო მორაკრაკებს — თამარის წყარო და შოთას წყარო, ისინი ორიოდე კილომეტრით თუ იქნებიან ერთმეორეზე დაშორებულნი. სათავეს კი ორივე ერთად იღებს ცხრათავალა წყაროდან, რომელიც გოგინაურის მთის ძირში, თეთრი ქვიდან ცხრანაკადად ამოჩუხჩუხებს“, — მოუთხრობს ავტორი ბავშვებს, და ვის არ მოწყურდება ნაცნობი თუ უცნობი წყაროების მონახულება, სანატრელი უკვდავების წყლის შესმა! ასე უკვდავებასავით მოუნატრებია მომაკვდავ ვანო სარაჯიშვილს „თავგატეხილას“ წყალი, ასე ენატრებოდა ლადო ასათიანს თავისი ბარდნალის ბინული, რომელსაც არაერთ ლექსში ახსენებს. (...„დავიღვრები ბინოლის ნაკადივით სიცილად“)..

მარგო თომაძის ეს წიგნი კეთილი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ეძიებდეს და პოულობდეს შემოქმედი. ეს ზომ ჩვენი ფოლკლორის განუყოფელი ნაწილიც არის; თვით პეტრე უმიკაშვილის საშვილიშვილო საქმიანობას მოწაფეობაში მთაწმინდის წყაროს ლეგენდის ჩაწერით ჩაეყარა საფუძველი. ამ ფოლკლორის წილი წარსულშია, წილიც კი დღეს, ჩვენ თვალწინ იბადება. ასე დაბადებულა თბილისის ახლოს, ელდანში, თეთრი ქვებით მონიშნული წყაროო და მერე გალაკტიონის წყაროდ გადაქცეულა. ეს წიგნი (გამომცემლობა „განათლება“, რედაქტორი ლ. ქვინიკაძე, მხატვრული რედაქტორი თ. ჯარბელაშვილი) რომ სახატავ რვეულს წაგავს, მხატვარი ქალის ბელა ბერძენიშვილის დალოტატებული მარჯვენის წყალობაც არის, — ზღაპრული ელფერი, ხალხური გულმართლობა სდევს მის ყოველ ნახატს და ამდიდრებს ამ მშვენიერი წიგნის ყდასა და ფურცლებს.

ცნობისმოყვარე მოზარდი ამ წიგნს მართლაც წყაროსავით დაეწაფება.

ნანა ღვინეფაძე.

მიენიჭათ პრემიები

კონკურსის შედეგები შეჯამებულია

□

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ თეატრალური საზოგადოების მიერ გამოცხადებულ ტრადიციულ კონკურსში თანამედროვეობის თემაზე შექმნილ სპექტაკლში საუკეთესო რეჟისორული, აქტიორული (ქალის, მამაკაცის) და მხატვრული ნამუშევრისათვის 1978-79 წლების სეზონის მიხედვით ფულადი პრემიები გადაეცათ:

რეჟისორული ნამუშევრისათვის: **გრიგოლ დავითის ძე ლორთქიფანიძეს** კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ა. ჩხაიძის პიესის „შთამომავლობის“ დადგმისათვის; **გივი გიორგის ძე სარჩიმელიძეს** თბილისის თოჯინების სახელმწიფო ქართულ თეატრში მ. ხეთაგურის პიესის „ხეტიალის“ დადგმისათვის.

აქტიორული ნამუშევრისათვის **ვერიკო ივლიანეს ასულ ანჯაფარიძეს** ფატი გურიელის როლის შესრულებისათვის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლში „შთამომავლობის“; **ცირა მიხეილის ასულ აბზიანიძეს** მაკას როლის შესრულებისათვის ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლში „ბუდე მეცხრე სართულზე“, **ეროსი აკაკის ძე მანჯგალაძეს** დეკიატოვის როლის შესრულებისათვის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლში „ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი“; **გიორგი გიორგის ძე ხარაბაძეს** ამავე სპექტაკლში შინდინის როლის შესრულებისათვის;

ნინელი ნოდარის ასულ ჭანკვეტაძეს ნინიკოს როლის შესრულებისათვის კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალური სახელოსნოს სპექტაკლში „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“; **რევაზ მირიანის ძე ჩხეიკვიშვილის** კოკის როლის შესრულებისათვის რუსთაველის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლში „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“.

მხატვრული ნამუშევრისათვის: **„სამეულს“ — ოლეგ მიხეილის ძე ქოჩაკიძეს, იური გიორგის ძე სლოვინსკის, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჩიკვაიძეს** კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლში „შთამომავლობის“ მხატვრობისათვის.

დამატებითი პრემია მიეცა **გელა ვახტანგის ძე ბაბუჩიძეს** — ცხაკაიას აკაკი ხორავის სახელობის სახალხო თეატრის რეჟისორს ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის.

დედაქალაქის საგამოფენო დარბაზებში

ᲡᲣᲚ ᲐᲗᲘᲝᲓᲔ წელია, რაც საქართველოში უძველესი მივიწყებული ტრადიცია — მხატვრული ქსოვის ხელოვნება აღდგა. ეს თბილისის სამხატვრო აკადემიაში მოხდა, როდესაც დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტს ქსოვილების მხატვრულად დამუშავების კათედრაც შეემატა. იმ დღიდან დაიწყეს ქართული გობელენის გულშემატკივრებმა თავისი დამოუკიდებელი გზის ძიება, და ახლა ქართული გობელენის ხელოვნებაში კლასიკური გობელენის პრინციპებსაც იყენებენ, ეროვნული ქსოვის ტრადიციებსაც ემყარებიან და თანამედროვე სახვითი ხელოვნების რთულ მოთხოვნებსაც ითვალისწინებენ.

სამხატვრო აკადემიამ ამ მოკლე დროში არა ერთი ნიჭიერი მხატვარი ტექნოლოგი აღზარდა, რომელთა ნამუშევრებმაც არათუ სამშობლოში, მის საზღვრებს გარეთაც მოუტანა აღიარება ეროვნულ ხალიჩა-ფარდაგებს.

ძმები ანრი და გიორგი გახარიები თბილისის სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ მშობლიურ ცხაკაიას დაუბრუნდნენ და იქ, ხალიჩების საქსოვ კომბინატში ხალისით შეუდგნენ შემოქმედებითს ძიებას. მათი თავდაპირველი საზრუნავი მასობრივი წარმოების ხალიჩების მხატვრული დონის ამაღლება იყო, მაგრამ არც საკუთარი შემოქმედება მიუვიწყებიათ, თავისებური ხელწერაც გამოიმუშავეს და ტექნიკური საშუალებების დახვეწაც შეძლეს.

ახლა თბილისელებს ფინანსთა სამინისტროს დარბაზში შეუძლიათ იხილონ ძმების ნამუშევართა საინტერესო გამოფენა.

გახარიების გობელენები თემატური სიუჟეტებით გზიბლავთ. ეს ძირითადად შრომის პროცესის გაიდეალებაა, რაც გამოხატულია ორიგინალური, დახვეწილი კომპოზიციებით. ამ მხრივ გამოირჩევა „დიდება შრომას“ მშვიდ, ლირიკულ ტონებში გადაწყვეტილ, მოზრდილ, ბრტყელ გობელენში, ჩაქსოვილია კოლხი ქალების სინარნარე.

შთამბეჭდავია გობელენი „მეჩაიეებიც“, რომელშიც კოლმეურნე ქალებს დიადმასავით ადგათ ოქროსფერი ჩალის ქუდები, აქა-იქ მიმოფანტული თეთრი გვირილები კი კომპოზიციას ჰარმონიულობასა და პოეტურობას ანიჭებს.

ფერით ცეცხლოვანი, ფორმით ლაკონიური, დინამზმით აღსავსეა „ხორუმი“, რომელიც მხატვრების ერთ-ერთი პირველი ნამუშევარია. ამ გობელენმა წარმატებით მოიარა ამერიკის შეერთებული შტატები, კანადის, იაპონიისა და საფრანგეთის საგამოფენო დარბაზები.

შერეული ტექნოლოგიური პრინციპით აქვთ ძმებს შექმნილი გობელენი „მშვიდობა მსოფლიოს“! კომპოზიციის ცენტრში მზის გულზე ზის თეთრი მტრედი, რომლის გარშემოც ცისარტყელას შვიდფეროვანი გამა.

ქსოვის ხალხური ტრადიციებით, აზრის სისადავით და ფერთა კოლორიტით გამოირჩევა ნამუშევრები „კოლხი ქალები“, „შვიდკაცა“, „კოლხური მოტივი“ და „სვანის ოჯახი“. ამ უკანასკნელმა ყურადღება მიიქცია პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში; გობელენებმა „კოლხური მოტივი“, „დიდება შრომას“ ახალგაზრდათა საკავშირო გამოფენაზე დიპლომი დაიმსახურეს. ნათელი ფერებით და იუმორით გზიბლავთ გობელენი „ოლიმპიადა ბავშვებს“.

გახარიები თავიანთ შემოქმედებაში დიდ ადგილს უთმობენ პორტრეტულ ჟანრს. მათ მრავალი საინტერესო კომპოზიციური პორტრეტი შეუქმნიათ. აქ არის მშვენიერი გობელენები „ლენინი — ბელადი“ და ქართველი მწერლებისა და პოეტების — შ. დადიანის, გალაკტიონის, ი. აბაშიძის, ა. ჯალიანდაძის, ა. შენგელიას პორტრეტები. ძმების ესკიზებით შექმნილმა ხალიჩებმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა მსოფლიო ბაზრობებზე — ლიონში, იზმირში, ბაზელში, მონრეალში, ლაიფციგში.

გამოფენამ წარმოაჩინა გახარიების დიდი ღვაწლი თანამედროვე ქართული გობელენის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

ა. ქანდაურიშვილი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲐᲖᲔ: გობელენები „ოლიმპიადა ბავშვებს“ და „ხორუმი“.

ᲤᲝᲢᲝ ᲕᲔᲜᲒᲘᲣᲠᲘᲡ.



მიწისძვრების არქივი

ᲝᲑᲜᲘᲜᲘᲡᲙᲘ (ქალაქის ოლქი). ჩვენს პლანეტაზე უკანასკნელი 25 წლის მანძილზე მომხდარი ყველა მიწისძვრის შესახებ ცნობის მიღება შეიძლება მიწისძვრების ცენტრალურ არქივში. როგორც საიდესის კორესპონდენტი მ. გოლოჩევი გვაცნობებს, იგი შეიქმნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის ფიზიკის ინსტიტუტის ობნინსკის ობსერვატორიასთან.

სეისმური დაკვირვებების ამ დიდ ცენტრში ყოველდღე მოდის ინფორმაციები ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ მომხდარი მიწისქვეშა ბიძგების შესახებ. მონაცემებს გულდასმით სწავლობენ. აღნიშნავენ ყოველი მიწისძვრის ზუსტ დროს, ძალას, ადგილსა და სხვა მახასიათებლებს. შემდეგ ყოველივე ამას მაგნეტიურ ლენტზე იწერენ და კარტოთეკაში შეაქვთ. საჭირო მასალების მოძებნაც დიდი დრო არ სჭირდება. არქივი აღჭურვილია ძიების ავტომატიზებული სისტემით.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲚᲦᲐᲖᲔ

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ პრესა, სპორტული თუ სახელმწიფო ორგანიზაციები ქალაქ დიდ ყურადღებას უთმობენ მოსკოვის ოლიმპიადისათვის მზადებას. ყველა თავისებურად გამოხატავს ამ დიდი ასპარეზობისადმი თავის დამოკიდებულებას.

ᲕᲘᲝᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ სოციალისტურ რესპუბლიკაში ახალი წლის დამდეგს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიქმნა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია. დაარსდა იგივეთვე ფეხბურთის ფედერაციის საქალაქო და საპროვინციო განყოფილებები. 3 თებერვალს დაიწყება ვიეტნამის პირველი საფეხბურთო ჩემპიონატი, რომელშიც ქვეყნის 18 საუკეთესო გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ვიეტნამის ფეხბ ოთელთა პირველი ჩემპიონატი მოსკოვის ოლიმპიადას ეძღვნება.

ᲙᲔᲜᲘᲘᲡ კრიკეტის მოყვარულთა ეროვნული ასოციაციის მდივანმა ჰარისონ კილოწზომ ამ დღეებში განაცხადა, რომ „კენია მოსკოვის ოლიმპიურ რინგზე წარმოდგენილი იქნება უძლიერესი გუნდით, რომლის შემადგენლობაში ამ ქვეყნის საუკეთესო მოკრივეები იქნებიან“. კენიელებს დაგეგმილი აქვთ კიდევ რამდენიმე შეხვედრის გამართვა. ისინი შეეჯიბრებიან უგანდელებს, ტანზანიელებს, ნიგერიელებს, გამოელენ ნიუ-იორკში „მედისონ სკვერ გარდენის“ რინგზე, იბრძოლებენ ბანგკოკში „სამეფო თასისათვის“ და მხოლოდ ამის შემდეგ დადგინდება ქვეყნის ოლიმპიური გუნდის საბოლოო შემადგენლობა.

„ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲐᲡᲐᲠᲔᲖᲝᲜᲐᲒᲘ“ — აი თემა კონკურსისა, რომელსაც აწყობს ლუქსემბურგის ოლიმპიური კომიტეტი. კონკურსში, რომელიც მოსკოვის ოლიმპიადას ეძღვნება, მონაწილეობენ საშუალო სკოლების მოსწავლეები.

ᲐᲘ ᲠᲐᲡ ᲬᲘᲠᲘᲡ ᲕᲐᲓᲠᲘᲓᲘᲡ ᲒᲐᲖᲗᲘ „ᲘᲐ“: „1980 წლის ივლისში მოსკოვი ოლიმპიური ასპარეზობის ადგილია. ეჭვს არ იწვევს, რომ იგი ჩვენი დროის ყველაზე მნიშვნელოვანი სპორტული მოვლენა იქნება“. გაზეთმა ვრცელ და ყარგად ილუსტრირებულ რეპორტაჟს წარუმძღვარა სათაური: „მოსკოვი გეეპატიჟება ოლიმპიადაზე“. რეპორტაჟში დაწვრილებით არის მოთხრობილი სპორტული კომპლექსების მშენებლობისა და ოლიმპიადის კულტურული პროგრამის შესახებ.

წილისყრამ დაასახელა

ᲗᲐᲡᲔᲑᲘᲡ მფლობელთა თასის გათამაშების მეოთხედფინალში მოსკოვის „დინამოს“ მეტოქე იქნება „ნანტი“ (საფრანგეთი). ასეთია წილისყრის შედეგი. პირველ მატჩს დინამოელები საკუთარ მოედანზე 5 მარტს გამართავენ, განმეორებითს — 19 მარტს საფრანგეთში. დანარჩენი მეოთხედფინალისტები ასე დაწყვილდნენ: „არსენალი“ (ინგლისი)-„გეტებორგი“ (შვეიცარია), „ბარსელონა“ (სპანეთი)-„ვალენსია“ (სპანეთი), „რიეკა“ (იუგოსლავია)-„იუვენტუსი“ (იტალია).

ევროპის ჩემპიონატის ფინალური ნაწილის (იტალია, 11-22 ივნისი) პირველ ჯგუფში ითამაშებენ — ჩეხოსლოვაკია, გფრ, საბერძნეთი და ჰოლანდია; მეორეში — ესპანეთი, იტალია, ბელგია და ინგლისი.

სატურნირო ორბიტა

ᲨᲐᲓᲠᲐᲯᲘ. იტალიის ქალაქ რეჯო-ემილიაში დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო ასპარეზობა, რომელიც ლენინგრადელმა დიდოსტატმა ალექსანდრე კოჩიევმა დაუმარცხებლად განვლო, დააგროვა 9,5 ქულა და პირველობა მოიპოვა.

ᲤᲘᲢᲔᲑᲣᲠᲒᲘᲡ. ხელვაჩაურისა და ფოთის სტადიონებზე დამთავრდა ჭაბუკთა გუნდების საკავშირო ასპარეზობა. პირველი ადგილი მოიპოვა ფოთის „ვოდნიკმა“, მეორე — ბათუმის „დინამომ“, მესამე—თბილისის „შრომითმა რეზერვებმა“. ეს იყო რიგით მეხუთე ასპარეზობა, რომელშიც მონაწილეობდა 15 გუნდი: მოსკოვის „სმენა“, ყდანოვის „აზოვსტალი“ ტაგანროგის „რადუგა“, ერევნის, ფრუნზეს, ვლადიმირისა და სხვა ქალაქების კოლექტივები.

ᲛᲫᲚᲔᲝᲑᲜᲝᲕᲐ. თბილისში, მძლეოსნობის რესპუბლიკურ სასახლეში გამართულ საქართველოს ზამთრის პირველობაზე 18 წლის თბილისელმა ბადრი გოცირიძემ („შრომითი რეზერვები“) 200 მეტრი 22,7 წამში გაიმარჯვა, პირველად შეასრულა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმა და პირველობა მოიპოვა. იგი პირველი იყო 60 მეტრზე რბენაშიც — 6,8 წამი. ბუნდოვანი გამარჯვება მოიპოვა „ბურევესტნიკის“ ნაკრებმა.

პირველი პერსონალური...

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ხელოვნების მუზეუმში გაიხსნა გიორგი ხუციშვილის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა. სპეციალობით ხელოვნებათმცოდნე, იგი მონაწილეობდა ბევრ რესპუბლიკურ გამოფენაში, ამჯერად კი მოეწყო მისი პირველი პერსონალური გამოფენა, რომელიც ყველაზე სრულად ასახავს მხატვრის შემოქმედებითი მანერის თავისებურებებს.

გამოფენა შესავალი სიტყვით გახსნა ხელოვნების მუზეუმის დირექტორმა თ. სანიკიძემ. გ. ხუციშვილის შემოქმედების შესახებ ილაპარაკა საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის გამგეობის მდივანმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა რ. თორდიამ.

გამოსულებმა აღნიშნეს, რომ გ. ხუციშვილის ნამუშევრებში, პეიზაჟი იქნება ეს თუ პორტრეტი, ნატურმორტი თუ ჟანრული კომპოზიცია, ნათლად ვხედავთ მხატვრის სამყაროს, საქართველოს ბუნებისადმი სიყვარულს.

(საქინფორმი).

„კომუნისტის“ ფოსტიდან

მკითხველი გვწერს

ᲙᲐᲡᲞᲘ. ახალქალაქის კულტურის სახლთან ჩამოყალიბდა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ოცნება“, რომელშიც გაერთიანებულია სოფლის ახალგაზრდობა. რაიონის სოფლებში საზოგადოებრივი მეურნეობების მშრომელებს ანსამბლმა უკვე გაუმართა პირველი კონცერტები.

რ. ჩალაშვილი.

ᲒᲔᲓᲔᲩᲙᲝᲠᲘ. მდინარე წაჩხურეზე სოფლის მშრომელებმა თავისი ძალებით ახალი კაპიტალური ხიდი ააშენეს.

გ. ჯაყელი.

ᲥᲐᲠᲔᲚᲘ. ამას წინათ რუისის პირველი საშუალო სკოლის პედაგოგებმა და მოსწავლეებმა სკოლის ახი წლის იუბილე იზეიმეს.

საზეიმო შეკრებას ესწრებოდნენ თბილისიდან მოწვეული სტუმრები: პროფესორი უ. ობოლაძე, გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქტორი ნ. შველიძე, მწერალი მ. კეკელიძე და სხვები.

შ. ქელესაშვილი.

ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣ. მუზეურის სასოფლო კულტის აგიტმხატვრული ბრიგადა მეცხოველეობის ფერმების ხშირი სტუმარია. მის რეპერტუარშია ქართული ხალხური სიმღერები.

აგიტმხატვრული ბრიგადის წევრებმა ამას წინათ ფერმის მუშაკებს ახალი ჟურნალ-გაზეთები მოუტანეს და კონცერტები გაუმართეს.

გ. გულუა.

ᲖᲣᲖᲓᲘᲓᲘ. რაიონის ბავშვთა ერთ-ერთი საყვარელი ადგილია კაფე „გაზაფხული“, რომელიც ქალაქის ცენტრში მდებარეობს. პატარებს აქ გემრიელი ნაირ-ნაირი ნამცხვრებით, ხილის წვენითა და ტკბილი სასმელებით უმასპინძლდებიან.

სხუმის ქუჩაზე კი ზუზდიდ-ვაჭრობის დირექციამ კეთილმოწყობილი სასურსათო გასტრონომიული მაღაზია გახსნა.

გ. ალუბაია.



ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘᲐ:

380096 ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ 14.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ:

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-93-03, 99-03-09, პ/ᲛᲫᲘᲕᲜᲘᲡ — 99-72-80, ᲡᲐ